# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 8 დეკემბერი, 2015 წელი.

№230 (7875)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ვებ გვერდი: www.sakresp.ge ფასი 50 თეთრი.


⦿ „რუსთავი-2“-ის ახალი ავანტიურა

## ნაციონალებს ისევ გვამები სჭირდებათ!




**რესპუბლიკის პროკურორს ბატონ ირაკლი შოთაძეს!**
**სახელმწიფო უსაფრთხოების მინისტრს ბატონ ვახტანგ გომელაურს**
**შინაგან საქმეთა მინისტრს ბატონ გიორგი მღებრიშვილს**

მე, რიგითი მოქალაქე თენგიზ ონიანი, მოგმართავთ თხოვნით, რათა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოთ და სასწრაფო ზომები მიიღოთ 6 დეკემბერს „რუსთავი-2“-ზე კვესიტაძე-გვარამიას (სააკაშვილ-უტიაშვილის) ავანტიურისტულ გადაცემაზე **„განსხვავებული აქცენტები“ (ნაცქენტები)** ავაზაკმა ნაციონალებმა კიდევ ერთხელ დადგეს სპექტაკლი კრიმინალური დევიზით „გვესაჭიროება გვამები!“ ამჯერად ნაცებმა დაიქირავეს ორი პიროვნება, რომლებმაც ცილისწამების კორიანტელი დააყენეს ამ შემზარავ პანდორას ყუთში, სიცრუის და ღალატის ტელევიზიაში. ამას თქვენც კარგად ხედავთ, მაგრამ ვფიქრობ, ყოველივე ეს გათვლილია აშკარა ავანტიურაზე, მიზანი არის ამ მოსყიდული პირების – ვინმე ინგა პავლოვას და „ჟურნალისტ“(?!) ივანიძის უახლოეს ხანში ლიკვიდაცია. იმათი სიკვდილი დღევანდელ პირობებში, თავისუფალ, დემოკრატიულ ევროპაში, სათანადო თანხის გადახდის შემთხვევაში, პრობლემას არ წარმოადგენს! მერე ეს მკვლელობები, რა თქმა უნდა, დაბრალდება „ოცნების“ კოალიციას და მის ხელმძღვანელს ბიძინა ივანიშვილს!

საქვეყნოდ ცნობილია, მსგავსი ავანტიურის მოწყობაში ნაცები ფრიადოსნები არიან.

რესპუბლიკის სამართალდამცავებს დაბეჯითებით გთხოვთ, აუცილებლად გაეცნოთ ჩემს მოსაზრებას და ოპერატიულად მიიღოთ სათანადო ზომები!

**ნაცებმა და „რუსთავი-2“-მა ამ ახალი, შემზარავი ცილისწამებისთვის პასუხი უნდა აგონ...**

**თენგიზ ონიანი**



## პრეზიდენტმა პატრიარქი მოინახულა

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე მოინახულა.

**„მქონდა შესაძლებლობა, კიდევ ერთხელ გამომეხატა სიყვარული და პატივისცემა ჩვენი პატრიარქის მიმართ. კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, ყველას ვალია, განსაკუთრებით კი პოლიტიკოსების, რომ მოვუფრთხილდეთ ამ უმნიშვნელოვანეს ადამიანს ჩვენი ქვეყნისთვის“,** – განაცხადა პატრიარქთან შეხვედრის დასრულების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა.


ჩინეთი სეპარატისტული აფხაზეთით ინტერესდება?! ③

ახლა უკრაინულად ვიოცნებოთ? ④

ფუჭი ლაპარაკი ფედერაცია-კონფედერაციაზე ⑤

როგორ აისახება რუსეთ-თურქეთის დაპირისპირება საქართველოზე? ⑧


## თეა წულუკიანი მურუსიძის კანდიდატურას კენჭს არ უყრის

**– ბატონ მურუსიძეს ჩემი მხარდაჭერა ექნება თუ არა, ამით მისი ბედი დადებითად ან უარყოფითად ვერ გადაწყდება, რადგან მე არ ვუყრი კენჭს მის კანდიდატურას. მე უბრალოდ გავიხსენებ რამდენიმე ფაქტს მისი წარსულიდან. ეს არის გირგვლიანის, ჯანიკაშვილის, მიქიაშვილის ცნობილი საქმეები და ეს არის სულხან მოლაშვილის ცნობილი საქმე. ამ ოთხი საქმიდან სამზე გირგვლიანის, მოლაშვილის, მიქიაშვილის საქმეებზე მე ვმუშაობდი სტრასბურგის სასამართლოში და იმ საქმეებში, სამივეში, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, არის მძიმე დარღვევები. მე მჯერა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები მიიღებენ იმ გადაწყვეტილებას, რომელიც არა მხოლოდ კანონიერი, არამედ მორალურად სწორი გადაწყვეტილება იქნება,** – განუცხადა ჟურნალისტებს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა.



## ლევან მურუსიძემ პასუხი უნდა გასცეს საზოგადოების შეკითხვებს

**საპარლამენტო უმრავლესობის წევრის გია ვოლსკის განცხადებით, ლევან მურუსიძემ კეთილი უნდა ინებოს და ან განუმარტოს საზოგადოებას, ამომწურავი და ნათელი პასუხი გასცეს ყველა შეკითხვას ისე, რომ საზოგადოებას ჰქონდეს ზუსტი ინფორმაცია, ან გამოიჩინოს მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და თავადაც არ დასვას საკითხი უვადოდ მისი განწესების თაობაზე.**

შეგახსენებთ, რომ სანდრო გირგვლიანის და სულხან მოლაშვილის საქმეების მოსამართლე ლევან მურუსიძემ სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეობის სურვილი გამოთქვა. ჯერჯერობით უცნობია რა გადაწყვეტილებას მიიღებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მისი მოქმედი მდივნისათვის მოსამართლეობის ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით.

**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..**

◉ გაეროს თხოვნის პასუხად

# რაც გათვალისწინებულია სენდაის ჩარჩო-პროგრამით...

**გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას მიმართა წინადადებით, რომ ჩაერთოს რისკების შემცირების (2015-2030 წლების) მსოფლიო პროგრამის რეალიზაციაში**

2015 წლის მარტში, იაპონიის ქალაქ სენდაიში ჩატარდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მესამე მსოფლიო კონფერენცია, რომელმაც მიიღო „კატასტროფების რისკების შემცირების (2015-203) წლების სენდაის ჩარჩო – პროგრამა“ (SEND FRAMEWORK FOR DISASTER RISK REDUCTION, 2015-2030 )

კატასტროფების რისკების შემცირება გაეროს მოღვაწეობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. გაეროს ეგიდით გამართულია მრავალი კონფერენცია, რეალიზებულია საერთაშორისო პროგრამები. საკმარისია დავასახელოთ 1994 წლის იოკოჰამას, 2005 წლის კობეს, 2005- 2015 წლების ჰუოგოს პროგრამა, სპეციალური ათწლიანი (1990-2000) პერიოდი (IDNDR).

სენდაის ჩარჩო-პროგრამის მიღებას წინ უძღოდა თითქმის სამწლიანი ინტენსიური მუშაობა გაეროს ეგიდით, რომლის დროსაც გაანალიზდა წარსულ წლებში ანალოგიური პროგრამებით განხორციელებული მოღვაწეობის შედეგები, დადებითი და უარყოფითი გამოცდილება, სამომავლო გეგმები. სენდაის ჩარჩო-პროგრამა ფაქტობრივად გამოხატავს კაცობრიობის გაერთიანებულ ძალისხმევას კატასტროფების შემცირების მიმართულებით. პროგრამის პრეამბულაში ნათქვამია, რომ მისი მიზანია, მნიშვნელოვნად შეამციროს კატასტროფების რისკი, მოშიმშილეთა, ავადმყოფთა და დაღუპულთა რაოდენობა, ისევე, როგორც დანაკარგები ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ სფეროში, როგორც ცალკეული პიროვნებებისა, ასევე საქმიანი გაერთიანებებისა და ქვეყნებისა.

სენდაიში 2015 წელს გამართულ კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სახელმწიფო დელეგაციაც და იგი პროგრამის ხელმომწერთა ნუსხაშია შესული. გაეროს წარმომადგენლებმა დააკმაყოფილეს „საქართველოს მთავრობის კურსიდან გამომდინარე საქართველოს ევროპის რეგიონალურ პლატფორმაში გადაყვანის სურვილი“

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ მნიშვნელოვან გარემოებაზე, რომელიც განასხვავებს სენდაის პროგრამას ყველა ადრე განხორციელებული პროგრამებისგან. მასში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ პროგრამის წარმატებით შესრულების ძირითად ბერკეტია მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მიღწევების ფართო გამოყენება. ამის საილუსტრაციოდ გადმოგცემთ სენდაის ჩარჩო-პროგრამის მე-15 და 25-ე პუნქტების შინაარსს.

15. საფრთხე შეიძლება ბუნებრივად არსებობდეს, ან ხელოვნურად იქნეს გამოწვეული. თავისი ხასიათით იგი შეიძლება იყოს ეკოლოგიური, სოციალური, ტექნოლოგიური ან ბიოლოგიური. ამ საფრთხეებით შექმნილი კატასტროფები შეიძლება იყოს მცირე ან მსხვილმასშტაბიანი, ხშირი ან იშვიათი, მოულოდნელი ან მოსალოდნელი. სენდაის ჩარჩო-პროგრამა ყველა ამ შემთხვევებს მოიცავს. პროგრამის მიზანია, დახმარება გაუწიოს კატასტროფების რისკის მენეჯმენტის მრავალკომპონენტიანი მოდელის განვითარებას, მის დამკვიდრებას ყველა სფეროში და ყველა დონეზე.

25. რომ მივაღწიოთ პროგრამის წარმატებით შესრულებას, მნიშვნელოვანია, განვავითაროთ და განვავრცოთ მეცნიერებაზე დაფუძნებული მეთოდოლოგიები და ხერხები, კატასტროფების რისკის მოდელირება, მონაცემთა შეფასება, კარტირება, მონიტორინგი და მრავალკომპონენტიანი ადრეული შეტყობინების სისტემები.

სენდაის ჩარჩო-პროგრამაში ახალი შეხედულებების დანერგვაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამეცნიერო და ტექნიკურ კომიტეტს, რომელმაც პრიორიტეტად მიიჩნია მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მიღწევების გამოყენება კატასტროფების რისკების შემცირების საკითხში (The Scientific and Technical Committee (STC) of the United Nations Internationl Strategy for Disaster Reduction (UNISDR).

სენდაის კონფერენციამდე ამ კომიტეტმა უდიდესი სამუშაო ჩაატარა, მოიწვია კონფერენციები, დააფიქსირა წამყვანი სამეცნიერო ორგანიზაციების აზრი რისკების შემცირების საკითხში სამეცნიერო მეთოდების მიდგომის ეფექტურობაზე, დაამუშავა ამ პრობლემასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის განმარტებითი ლექსიკონი, შეაგროვა მაგალითები მსოფლიოს პრაქტიკიდან, რომლებშიც ილუსტრირებულია მეცნიერების პრიორიტეტული როლი კატასტროფების რისკის შემცირების საკითხში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამ კომიტეტის ინიციატივით 2016 წლის 27-29 იანვარს ჟენევაში მოწვეულია კონფერენცია (UNISDR Science and Technology Conference on the implementation of the Sendai Framework for Disaster Risk Reduction 2015-2030 ), რომელიც სენდაის პროგრამის იმპლემენტაციას ეძღვნება და რომლის მიზანია შეახვედროს კატასტროფების რისკის შემცირებით დაინტერესებული სახელმწიფო, სამთავრობო, საფინანსო არასამთავრობო და სამეცნიერო ორგანიზაციები და განმარტოს პროგრამის შესრულების პროცესში სამეცნიერო და ტექნოლოგიური მეთოდების გამოყენების ეფექტურობა და მათი განხორციელების ორგანიზებული სტრუქტურა.

გაერომ თხოვნით მიმართა მსოფლიოს სამეცნიერო ორგანიზაციებს, მიიღონ მონაწილეობა ამ კონფერენციაში და სენდაის პროგრამის შემდგომ იმპლემენტაციაში.

ასეთი მოწვევა მიიღო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამაც. საქართველოსთვის, და მთლიანად კავკასიისთვის, უცხო არ არის მიწისძვრები, წყალდიდობები, ზვავები, ქარიშხლები, ეპიდემიები, სოციალური და ეკონომიკური დანაკარგები. ჩვენი მყინვარები განიცდიან გლობალური დათბობის ნეგატიურ ზეგავლენას. ამ ტერიტორიაზე განლაგებულია მაღალი რისკის შემცველი ობიექტები, კაშხლები, ნავთობ და გაზსადენები, ქიმიური და ბიოლოგიური ლაბორატორიები, ატომური ელექტროსადგური. ქართველ ინჟინრებსა და მეცნიერებს დიდი გამოცდილება აქვთ დაგროვილი ნეგატიური მოვლენების შედეგების აცილებისა, მათი პრევენციისა და ლიკვიდაციის მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდოლოგიის გამოყენების საქმეში. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ფართოდ არის ცნობილი ქართველ მეცნიერთა მიერ დამუშავებული მრავალკომპონენტიანი პროცესების ოპტიმალური მართვის მოდელები. ეს ყველაფერი მყარ საფუძველს ქმნის იმისათვის, რომ ქვეყანამ წარმატებით შეძლოს ჩამოაყალიბოს კატასტროფების რისკის შემცირების ეროვნული სტრატეგია და პლატფორმა, რაც გათვალისწინებულია სენდაის ჩარჩო-პროგრამით.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია აქტიურად ჩაებმება XXI საუკუნის მსოფლიოს ერთ-ერთ პრიორიტეტულ და ქვეყნისათვის ამ მეტად მნიშვნელოვან პროექტში.

**გიორგი კვესიტაძე,**
**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი;**

**ირაკლი ჟორდანია,**
**აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი;**

**გურამ გაბრიჩიძე,**
**ბუნებრივი კატასტროფების სამეცნიერო პრობლემების შემსწავლელი კომისიის სწავლული მდივანი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.**

**თბილისი, 2015 წლის 7 დეკემბერი.**

# ღარიბაშვილი ბულგარეთის პრეზიდენტს შეხვდა



**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ბულგარეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ როსენ პლევნელიევს შეხვდა.**

ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი, ორი ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთობები და თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები შეხვედრის მთავარი თემები იყო.

ბულგარეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა საქართველოს მთავრობის მეთაურს კიდევ ერთხელ დაუდასტურა, რომ ბულგარეთი ევროპული ინტეგრაციისა და ვიზის ლიბერალიზაციის გზაზე საქართველოს მხარდაჭერისთვის მზად არის.

საუბარი შეეხო ნატოს არსებითი პაკეტის განხორციელებაში ბულგარეთის ჩართულობას, რისთვისაც ირაკლი ღარიბაშვილმა როსენ პლევნელიევს მადლობა გადაუხადა.

მხარეებმა ხაზი გაუსვეს ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ბრუნვის მზარდ დინამიკას და იმედი გამოთქვეს, რომ სექტორული თანამშრომლობის შესახებ გაფორმებული მემორანდუმები არსებული ურთიერთობების კიდევ უფრო განვითარებას შეუწყობს ხელს. მხარეებმა საქართველოსა და ბულგარეთის, როგორც ენერგოშემცველების სატრანზიტო დერეფნის ჩამოყალიბების როლზე ისაუბრეს.

# საქართველო არის და იქნება საიმედო პარტნიორი ბულგარეთისთვის

**საქართველო-ბულგარეთის წარმატებული თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროში და ქვეყნებს შორის არსებული კავშირები იყო საქართველოსა და ბულგარეთის პრემიერ-მინისტრების პირისპირ შეხვედრის მთავარი თემები.**

**ირაკლი ღარიბაშვილს ბოიკო ბორისოვმა ბულგარეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში უმასპინძლა.**

საქართველოსა და ბულგარეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრებმა პირისპირ და გაფართოებული შეხვედრის შემდეგ მედიისთვის ერთობლივი განცხადებები გააკეთეს.

მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს, როგორც სატრანზიტო დერეფნის როლის გაზრდა, ახალი აბრეშუმის გზის ინიციატივის როლი ამ პროცესში და სტრატეგიულ სფეროებში თანამშრომლობის გაძლიერება საუბრის მთავარი თემები იყო.

მთავრობის მეთაურის თქმით, საქართველოსთვის, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე, მთელ რიგ სფეროებში ბულგარეთის გამოცდილების გაზიარება მნიშვნელოვანია.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბულგარელ კოლეგას ვიზის ლიბერალიზაციის პროცესში, ნატოს არსებითი პაკეტის ელემენტების განხორციელებაში ჩართულობისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ საქართველო არის და იქნება საიმედო პარტნიორი ბულგარეთისთვის.



საქართველოს მთავრობის მეთაურმა ასევე ორი ქვეყნის მეგობრულ ურთიერთობებზე ისაუბრა და აღნიშნა პეტრიწონის მონასტერი – ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტაძარი ევროპის მართლმადიდებლურ ლავრათა შორის, რომელიც ერთმორწმუნე ბულგარული და ქართული კულტურების უნიკალური კომბინაციის სიმბოლოა.

პრემიერ-მინისტრმა ბულგარელ კოლეგას მასპინძლობისთვის მადლობა გადაუხადა და თბილისში მიიწვია.

ბულგარეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით, საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებებისა და ვიზის ლიბერალიზაციის პროცესისადმი მტკიცე მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დაადასტურა ბულგარეთის პრემიერ-მინისტრმა. ბოიკო ბორისოვმა ხაზი გაუსვა ახალი აბრეშუმის გზის ინიციატივის როლს და სატრანსპორტო დერეფნის განვითარების პროცესში საქართველო-ბულგარეთის თანამშრომლობის მნიშვნელობას.

ბულგარეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ასევე ხაზი გაუსვა ხელმოწერილი მემორანდუმების მნიშვნელობას და იმედი გამოთქვა, რომ დოკუმენტები ორმხრივი თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებას შეუწყობს ხელს.

◉ წინადადება

# დახმარება-თანადგომის სურვილი და არა მოთხოვნა

## პატრიარქის ინიციატივამ უმრავლესობაში ბზარი გააჩინა?

**უწმინდესი მსჯავრდებულთა შეწყალების უფლების მინიჭებას ითხოვს. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა თხოვნით მიმართა პრემიერ-მინისტრს, რომ ხელისუფლებამ განიხილოს პატრიარქისთვის მსჯავრდებულთა შეწყალების უფლების მინიჭების საკითხი**. სასჯელაღსრულების მინისტრი თვლის, რომ პატრიარქს შეწყალების უფლება უნდა ჰქონდეს.

**„მეც მიმაჩნია, რომ პატრიარქს უნდა ჰქონდეს ეს უფლება. ერის წინამძღვარია. მასზე ბრძენი ადამიანი არ ვიცი ვინ არის, ამიტომ ნამდვილად უნდა ჰქონდეს მას შეწყალების უფლება. როდესაც საქართველოს პატრიარქი გამოდის ძალიან მნიშვნელოვანი ინიციატივით, ადამიანი, რომელიც მთელი თავისი ცხოვრება თავის თავზე იღებს სხვის ცოდვებს და ამბობს, რომ მეც მომეცით შეწყალების უფლებაო, ჩემთვის წარმოუდგენელია როგორ შეიძლება ეს ინიციატივა არ განიხილო “,** — აცხადებს კახი კახიშვილი.

პრემიერ-მინისტრი მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულთა შეწყალების პროცესში პატრიარქის ჩართულობის გაზრდას პოზიტიური როლის შესრულება შეუძლია. შესაბამისად, უწმინდესის თხოვნის საფუძველზე, მთავრობის მეთაური საქართველოს პრეზიდენტს და პარლამენტს აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის დაწყების თხოვნით მიმართავს.

**„სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ქართველი ერის სულიერი წინამძღვარია და მისი რჩევა ყველა ადამიანისთვის მნიშვნელოვანი და ღირებულია“,** —აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე ზაზა ვაშაყმაძე აცხადებს, რომ არ ახსენდება, მსგავსი პრეცედენტი რომელიმე ქვეყანაში არსებობდეს.

**„საკითხი არის ძალიან საინტერესო, განსახილველი, აქტუალური და დასაფიქრებელი. რაც შეეხება საკითხის მიღება–არმიღებას, არსებობს სამართლებრივი პროცედურები და ეს საკითხი განსახილველია პარლამენტის მიერ. თუ ეს პროცედურები იქნება დაცული, თემა გადაიწევს საკანონმდებლო ორგანოში. პირადად მე არ მახსენდება, რომ მსგავსი პრეცედენტი რომელიმე ქვეყანაში არსებობდეს. დანარჩენი არ ვიცი, ბუნებრივია, მოვიკითხავთ, განვიხილავთ, ვიმსჯელებთ. თემა განსახილველია“,** — აღნიშნა ზაზა ვაშაყმაძემ.

უწმინდესის ინიციატივასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა უმრავლესობაში. პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია თვლის, რომ პატრიარქს მსჯავრდებულთა შეწყალების უფლება უნდა ჰქონდეს. ბესელია დარწმუნებულია, რომ ამ ინიციატივას ბევრი მხარდამჭერი ეყოლება.

**„საქართველოს პატრიარქსაც ჰქონდეს ეს განსაკუთრებული უფლება, როგორც ადამიანს, რომელსაც საქართველოს მოსახლეობის ყველაზე დიდი ნდობა აქვს“,** — ამბობს ეკა ბესელია.

უმრავლესობის წევრი, რესპუბლიკელი დავით ბერძენიშვილი თვლის, რომ უწმინდესის თხოვნის საფუძველზე, მთავრობის მეთაურის მხრიდან პრეზიდენტისთვის და პარლამენტისთვის აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის დაწყების თხოვნით მიმართვა არასწორი ნაბიჯია.

**„საკითხი ძალიან მკაფიოა, ერთადერთი ადამიანი, ვისაც პატიმართა შეწყალების უფლებათმოსილება აქვს, არის სახელმწიფოს მეთაური. ჩვენს შემთხვევაში ეს არის ქვეყნის პრეზიდენტი. ამიტომ მიკვირს, თუ რატომ მოგვმართა პრემიერ-მინისტრმა პარლამენტს, ან რატომ მიმართა პრეზიდენტს და რატომ აიცილა პასუხისმგებლობა თავიდან. მანაც მშვენივრად იცის, ის ერთადერთი თანამდებობის პირი, ვისაც ეს უფლებამოსილება აქვს და ეს კონსტიტუციაში შავით თეთრზე წერია — ეს არის პრეზიდენტი“,** — აცხადებს დავით ბერძენიშვილი.

ალსანიშნავია, რომ მსჯავრდებულთა შეწყალების უფლებამოსილება საქართველოს კონსტიტუციით არის განსაზღვრული, რაც იმას ნიშნავს, რომ პატრიარქის ინიციატივის განხილვის შემთხვევაში, აუცილებელია საკონსტიტუციო ცვლილება, ხოლო ამისთვის — 113 ხმა. თუმცა უკვე ცნობილია, რომ ამ ცვლილებას მხარს არ უჭერენ „ნაციონალური მოძრაობა“, რესპუბლიკელები თვლიან, რომ მსგავსი ტიპის საკონსტიტუციო ცვლილება საქართველოში არ განხორციელდება.

**„პატრიარქი არ გახლავთ პოლიტიკური ფიგურა. ის არ გახლავთ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი ან ხელმძღვანელი. ის არის ჩვენი უმთავრესი რელიგიური მიმდინარეობის ლიდერი და მას თავისი კომპეტენცია აქვს. მას უფალმა უმაღლესი კომპეტენცია მისცა — ადამიანის ცოდვების მიტევების. რაც შეეხება შეწყალებას, ეს არის წმინდა ადმინისტრაციული ფუნქცია, ეს არის პრეზიდენტის ფუნქცია. ახლა ისეთი ელემენტარული ანბანური რაღაცის განმარტება მიწევს, უხერხულიც არის“,** — აცხადებს ფილოსოფოსი ზაზა ფირალიშვილი.

დღის ბოლოს საპატრიარქომ პატრიარქის ინიციატივასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა.

**„5 დეკემბერს რუსთაველის თეატრში შედგა სპექტაკლი პატიმარი ქალების მონაწილეობით. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც სახელმწიფო თეატრის სცენა და დარბაზი მჯავრდებულებს დაეთმო. წარმოდგენაც და შექმნილი გარემოც მეტად ემოციური იყო. მისმა უწმინდესობამ სწორედ ამ ფონზე ბრძანა, რომ კარგი იქნებოდა, პატრიარქსაც ჰქონოდა პატიმრების შეწყალების უფლება.**

**ეს იყო მათდამი სოლიდარობის, მათი დახმარებისა და თანადგომის სურვილით ნათქვამი აზრი და არა მოთხოვნა საკანონმდებლო დონეზე ამ წინადადების განხილვისა“,** — აღნიშნულია განცხადებაში.

**თამთა ქარჩავა**

◉ მინისტრის აზრით



## ნუ ჩავაყენებთ პატრიარქსა და საპატრიარქოს უხერხულ მდგომარეობაში

**იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის შეფასებით, შეწყალებაზე უარის თქმა ძალიან დიდ ნეგატივს მიმართავდა პატრიარქისადმი. „სასულიერო პირს, პატრიარქს ჰქონდეს შეწყალების ფუნქცია — ეს ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას. თუ ეს გაკეთდებოდა, წავაწყდებოდით კონსტიტუციურ პრობლემებს და დავარღვევდით იმ პრინციპს, რასაც ეწოდება სახელმწიფოს და ეკლესიის გაყოფა და ერთმანეთისგან დამოუკიდებლობა. ჩვენ ვართ საერო სახელმწიფო, აქედან გამომდინარე, ეს ინიციატივა, ალბათ, ვერ შეისხამდა ხორცს. ასე რომც არ იყოს, მე არ ვისურვებდი, რომ ჩემი ეკლესიის, მართლმადიდებელი გახლავართ, სულიერ ხელმძღვანელს ჰქონდეს შეწყალების უფლება, რადგან შეწყალების უფლება როცა გაქვს, ასევე, გიწევს, უარი თქვა შეწყალებაზე. ეს ძალიან დიდ ნეგატივს მიმართავდა პატრიარქისადმი, რასაც მე მას ნამდვილად არ ვუსურვებ“, — განაცხადა წულუკიანმა.**

◉ რა ხდება?!

# ჩინეთი სეპარატისტული აფხაზეთით ინტერესდება?!

**დე ფაქტო აფხაზეთის ვიცე-პრეზიდენტი ვიტალი გაბნია აცხადებს, რომ აფხაზეთში ახალი გზის მშენებლობით ჩინეთია დაინტერესებული. მისი თქმით, ჩრდილოეთ კავკასიისა და აფხაზეთის დამაკავშირებელი ჩქაროსნული გზის მშენებლობის პროექტი მანამდეც არსებობდა, თუმცა პროცესის დაწყება სირთულის გამო ვერ ხერხდებოდა. ჩინური კომპანიის მიერ გამოყოფილი 40 მილიარდი აშშ დოლარის საშუალებით კი ამ პროექტის განხორციელება რეალური იქნება.**

უფრო მეტიც, გაბნიას თქმით, ამ რამდენიმე დღის წინათ მოსკოვში ხელი მოეწერა მემორანდუმს „ელბრუსის“ სარეკრეაციო ტერიტორიის განვითარების პროექტის რეალიზაციის შესახებ, რომელიც ყარაჩაევო-ჩერქეზეთსა და ყაბარდო-ბალყარეთის აფხაზეთთან დამაკავშირებელი გზის მშენებლობას ითვალისწინებს. ამ ეტაპისთვის ჯერ მხოლოდ მოსკოვში ხელმოწერილი მემორანდუმი არსებობს და სხვა დეტალები კიდევ მუშავდება, რის შემდეგაც აფხაზეთში სამუშაო ადგილები შეიქმნება და შემცირდება ეკონომიკური დამოკიდებულება საქართველოზე, რომელიც არალეგალური იმპორტის კუთხით ისევ არსებობს.

**„ჩინელებს აინტერესებთ არა მხოლოდ საავტომობილო გზა, არამედ პორტიც და რკინიგზაც. ორპოლარულ მსოფლიოში ოდესისა და ბალტიისპირეთის პორტები რუსეთს არ ემსახურებიან. ნოვოროსიისკის პორტი გადატვირთულია. ჩინეთს რუსულ და ევროპულ ბაზრებზე არ ჰყოფნის პორტები და, შესაბამისად, მზად არის ინვესტირებისთვის. პორტის გამოყენებით მილიონობით ტონა ტვირთის ტრანსპორტირება შეიძლება“,** — აცხადებს გაბნია „სპუტნიკთან“ ინტერვიუში და განმარტავს, რომ პროექტის რეალიზება უნდა უზრუნველყოს ჩინურმა სამშენებლო კომპანიამ China Railway-მ და რუსულმა კომპანიამ „რეგიონ-პროექტმა“. China Railway კი ჩინეთის უმსხვილესი სარკინიგზო კომპანიაა, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს.

**ის, რომ სეპარატისტები ბოლო დროს ხშირად ახსენებენ ჩინურ ინტერესს აფხაზეთთან მიმართებით, დამაფიქრებელია. ჩნდება კითხვა, ორმაგ თამაშს ხომ არ თამაშობს ჩინეთი, რომელიც, ამავდროულად, საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმებითაა დაკავებული, თუ ჩინეთის თემით აპელირება სეპარატისტი ლიდერების ფანტაზიის ნაყოფია?!**

უფრო ადრე For.ge წერდა, რომ საქართველო-ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმების შემდეგ საქართველოში ჩინური ინვესტიციები და პროდუქციის იმპორტი უნდა გაზრდილიყო და ჩინეთიდან შემოტანილ გაიაფებულ იმპორტს უნდა ჩაენაცვლებინა იმპორტი თურქეთიდან.

**ამის იმედს სტატისტიკური მონაცემებიც იძლეოდა. კერძოდ, 2014 წლის მდგომარეობით, იმპორტის კუთხით, თურქეთი საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი იყო (მთლიანი იმპორტის 20.1% თურქეთზე მოდიოდა), ხოლო რიგით მეორე პარტნიორი ჩინეთი გახლდათ (მთლიანი იმპორტის 8.6%).**

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ლევან კალანდაძე მა-



შინ ჩვენთან საუბარში ჩინეთის, როგორც მსოფლიოში მზარდი დომინანტური საბაზრო მოთამაშის, როლს განსაკუთრებულს უწოდებდა. მისი აზრით, ჩინეთისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ევროპასთან სწორი საკომუნიკაციო ლოჯისტიკური ქსელის სისტემის აწყობა და, საბედნიეროდ, საქართველო ამ ლოჯისტიკური ჯაჭვის ერთ-ერთი ბუნებრივი კომპონენტი გახლდათ, ჩვენი სტრატეგიულ მდებარეობიდან გამომდინარე.

დღეს კი რა შეიცვალა საქართველო-ჩინეთის ურთიერთობას შორის და რას ნიშნავს კომუნისტური ჩინეთის „დაინტერესება“ აფხაზეთის თემით? ხომ არ ურევია ამ ყველაფერში რუსეთის ხელი, რომელთანაც დღეს ჩინეთს, საკუთარი ტერიტორიების დაბრუნების გაუნელებელი სურვილის მიუხედავად, ახლო ურთიერთობა აქვს?!

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში პაატა აროშიძე For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ჩინეთი ის სახელმწიფოა, რომელიც ძალიან ფრთხილია სეპარატისტულ საკითხებთან მიმართებით. ამდენად, იმ ფონზე, როდესაც საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით კანონი აქვს მიღებული, გაუგებარია, რამდენად სწორია ინფორმაცია ჩინურ-აფხაზური ურთიერთობის შესახებ და ეს ხომ არ არის აფხაზი დე ფაქტო ჩინოვნიკის სურვილი, ჩართოს ჩინეთი ამ საქმეში.

**„ჩინეთი არ არის ისეთი სახელმწიფო, რომელიც არ უყურებს კანონს ოკუპირებული ტერიტორიის შესახებ, ან არაფრად არ აგდებს გაეროს რეზოლუციებს. მხოლოდ ის, რომ კომუნისტური პარტიის წარმომადგენელია ჩინეთის სათავეში, ან რუსეთთან ახლო კავშირი აქვს, არ ნიშნავს, რომ ჩინეთმა გადადგას ასეთი ნაბიჯი. მით უმეტეს, იმ ფონზე, როდესაც საქართველოსა და ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას მოეწერება ხელი. ზოგადად, აფხაზეთის რკინიგზის მიმართ ყველაზე მეტი ინტერესი აქვს რუსულ მხარეს. რუსეთი ყოველნაირად ცდილობს, ხელში ჩაიგდოს ქართული რკინიგზის მონაკვეთი და, საბოლოო ჯამში, განახორციელოს მისი დიდი იდეა, რაც სამხრეთ რკინიგზის მონაკვეთის ჩამოყალიბებას ნიშნავს.**

**სხვათა შორის, ქართული ხელისუფლება ადრე საქართველოს რკინიგზის გაყიდვის შესახებ საუბრობდა. რეალურად ეს არ მოხდა და სწორიც იყო, რადგან რკინიგზას უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ჩვენს რკინიგზაზე ტვირთბრუნვა შეიძლება ისე გაიზარდოს, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენსაც გადააჭარბოს მისმა ტვირთმა, მით უმეტეს, რომ ჩინეთიც შემოვა ამ ტვირთბრუნვაში. ამიტომ, თუ აფხაზეთის რკინიგზას საქართველოს ხელისუფლების ნებართვით აღადგენს ჩინეთი და აფხაზეთში ჩვენი იურისდიქცია გავრცელდება, კარგი იქნება. სხვა მხრივ, არა მგონია, რომელიმე ჩინურმა კომპანიამ თავისი იმიჯი ისე დასწიოს, რომ აფხაზეთის ტერიტორიის პატარა მონაკვეთი ამჯობინოს, რომელსაც მისთვის არანაირი მნიშვნელობა არ ექნება“,** — აცხადებს პაატა აროშიძე.

რაც შეეხება ჩინეთისა და რუსეთის ფარულ შეთანხმებას აფხაზეთთან მიმართებით, ექსპერტი აცხადებს, რომ ასე ყველაფრის დაშვება შეიძლება, მაგრამ ჩინეთი ჯერჯერობით ფარულად აცხადებს თავის გეოპოლიტიკურ ინტერესებს კავკასიაში და ჯერ მას არ გამოუკვეთავს დიდი გეოპოლიტიკური ინტერესები. თუკი გამოკვეთს ამ ინტერესებს კავკასიის რეგიონში, მაშინ ის, ალბათ, უწინარესად, საქართველოსთან წამოვა მოლაპარაკებაზე, რადგან ჩვენ გვაქვს ფოთის პორტი, სუფსის პორტი, შენდება ახალი პორტები, სადაც შესაძლებელია ჩინური ინვესტიციების ჩადება.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ემზარ ჯგერენაია For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ჩინეთი თვითონ დგას სეპარატიზმის პრობლემის წინაშე, მისთვის პრობლემურია ტიბეტი და სხვა რეგიონები. ამიტომ გამორიცხულია, ჩინეთმა სეპარატისტულ რეგიონებთან დაიჭიროს კავშირი.

**„ეს წარმოუდგენელია, პოლიტიკურად ჩინეთს თვითონ არ აწყობს იმის პრეცედენტი, სეპარატისტულ რეჟიმებთან დაიჭიროს საქმე. ჩინეთი საქართველოს მთავრობის საკმაოდ სერიოზული პარტნიორია, საქართველოს დელეგაციები მიდიან ჩინეთში თავისუფალი ხელშეკრულების პრინციპების ჩამოსაყალიბებლად. ასე რომ, საკმაოდ ღრმა ურთიერთობაა, ამიტომ გამორიცხეთ, რომ ჩინეთი რაიმე ურთიერთობას დაამყარებს სეპარატისტულ რეგიონებთან“,** — აცხადებს ემზარ ჯგერენაია.

**მანანა ნოზაძე**

◉ სახელმწიფო ბიუჯეტი

# ვინ რამდენს დახარჯავს გაისად



**მას შემდეგ, რაც ეკონომიკამაც და საზოგადოებამაც „სოციალისტური გალიის“ ტყვეობას თავი დააღწია, რომელიც, მრავალთა აზრით, „არცთუ ურიგო იყო, ოღონდ გისოსებს კარგი შეკეთება სჭირდებოდა“, ხალხი ისეთ ცნებებში გაერკვა, რომელთა არსებობის შესახებ ადრე არც სმენია. მათ შორის ერთ-ერთი ასეთი ურთულესი ფინანსურ-ეკონომიკური კატეგორია სახელმწიფო ბიუჯეტი გახლავთ, რომლის ავ-კარგზე არა თუ ფინანსისტები, ეკონომისტები, მეწარმეები, იურისტები და პარლამენტარები, არამედ სამზარეულოში ტელევიზორთან მოკალათებული ობივატელებიც ლაღად მსჯელობენ.**

ამის მიზეზი კი, უწინარესად, ისაა, რომ თურმე ბიუჯეტის დაგეგმვა, მისი ცალკეული ინდიკატორული (ანუ თავდაპირველად დაგეგმილი) პარამეტრებისა საშემოსავლო და ხარჯვითი მუხლების შესრულება, საერთოდაც, მისი ძირითადი მახასიათებლები, მთელი საზოგადოების, მისი ყოველი წევრის ცხოვრებასა და ყოფაზე მთლად პირდაპირ უშუალოდ თუ არა (თუმცა, ზოგჯერ, ასეც ხდება!), ირიბად მაინც უეჭველად აისახება. ამდენად, არაფერია გასაკვირი იმაში, რომ მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტი საზოგადოების უკლებლივ ყველა ფენაში ცხოველ ინტერესს იწვევს, რასაც ის გარემოებაც უწყობს ხელს, რომ, როგორც სხვადასხვა პოლიტიკური პლატფორმის წარმომადგენლები ერთხმად აცხადებენ, ის **სოციალურადაა ორიენტირებული,** თუმცა კი ამ გარემოების შეფასება, უმეტესწილად, კარდინალურად განსხვავებულია.

ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაში, ასევე უახლოეს სამეზობლოსა და, ზოგადად, მთელ მსოფლიოში პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული და ა. შ. ვნებათაღელვა იმდენად ძლიერი იყო აგერ უკვე მიწურულისკენ წასული 2015 წლის განმავლობაში, რომ, მრავალ შიდა მიზეზთან ერთად, იმდენად იმოქმედა ეროვნულ ეკონომიკაზე, რომ მისი რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ინდიკატორული პარამეტრი რამდენჯერმე შეიცვალა.

რაც შეეხება კონკრეტულად 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საპროგნოზო პარამეტრებს, **ეკონომიკური ზრდის ტემპი (ანუ მთლიანი შიდა პროდუქტის მატება) 3 პროცენტითაა განსაზღვრული. ბიუჯეტის ერთ-ერთი უაღრესად საგულისხმო პარამეტრი მისი დეფიციტია, რომელიც ასევე 3 პროცენტის ოდენობითაა დაგეგმილი.**

ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი მთლიანად 9 მილიარდ 920 მილიონი ლარითაა განსაზღვრული, რაც სტრუქტურულად ასე გამოიყურება: **თავად ბიუჯეტის შემოსავალია 9 მილიარდ 110 მილიონი ლარი, კრედიტები — 680 მილიონი ლარი, ხოლო გრანტებით მისაღები თანხები მთლიანად 130 მილიონი ლარი იქნება.**

მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტში, **შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს განსაკარგავად 3 მილიარდ 70 მილიონი ლარია გამოყოფილი.** აქედან სოციალურ დაცვასა და საპენსიო უზრუნველყოფაზე 2 მილიარდ 183 მილიონი ლარი დაიხარჯება, ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების უზრუნველყოფაზე — 779,5 მილიონი ლარი, ხოლო სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციასა და აღჭურვაზე — 32 მილიონი ლარი.

გაისად განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა განათლების სფეროს, ხარჯის დონით **განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მეორე მოწინავე პოზიციაზეა, რომელსაც 975,2 მილიონი ლარის განკარგვის უფლება ექნება.** მნიშვნელოვანი გარემოებაა, რომ ზოგადი განათლების დასაფინანსებლად 573 მილიონი ლარის გამოყოფაა გათვალისწინებული. უკვე ცნობილია, რომ გაისად საგრძნობლად მოემატებათ ხელფასები მასწავლებლებს, რომელიც აპრილიდან 405 ლარს გაუტოლდება. სამინისტროს ხარჯვების პრიორიტეტული მიმართულებებია ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროგრამები (174 მილიონი ლარი), საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება (94,4 მილიონი ლარი) და პროფესიული განათლების სტიმულირება (136 მილიონი ლარი).

**ინფრასტრუქტურული პროექტების** დაფინანსებაზე 2016 წელს 950 მილიონი ლარის დახარჯვაა გათვალისწინებული. მათ შორის, საგზაო ინფრასტრუქტურაზე — 527 მილიონი ლარის, რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე — 246 მილიონი ლარის, წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციაზე 171 მილიონი ლარისა და სხვ.

ძალოვან სამინისტროთა წლიური ხარჯი, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის თანახმად, გაისად ასეთი იქნება: **თავდაცვის სამინისტრო** — 670 მილიონი ლარი; **შსს სამინისტრო** — 595 მილიონი ლარი; **სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური** — 95 მილიონი ლარი; **სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო** — 153 მილიონი ლარი. რაც შეეხება სხვა სამთავრობო უწყებებს, **სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის** გამოყოფილია 281,4 მილიორი ლარი, **ენერგეტიკის სამინისტროსთვის** 135 მილიონი ლარი, **ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის** 85 მილიონი ლარი, **საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის** 100 მილიონი ლარი, **იუსტიციის სამინისტროსთვის** 68,5 მილიონი ლარი, **ოკუპირებული ტერიტორებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და განსახლების სამინისტროსთვის** 70 მილიონი ლარი, **სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთვის** 75 მილიონი, **ფინანსთა სამინისტროსთვის** კი — 90 მილიონი ლარი.

აღსანიშნავია, რომ გაისად სახელმწიფო ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად კვლავაც რეგიონების განვითარება რჩება, რა მიზნითაც, სხვადასხვა მიმართულებით პროექტების განსახორციელებლად 280 მილიონი ლარია გათვალისწინებული. ამას ემატება **„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“** საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ხუთი მაღალმთიანი დასახლების განვითარების ფონდისთვის განკუთვნილი 20 მილიონი ლარი.

დაბოლოს, ორიოდე სიტყვა **მთავრობისა და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდების** ფინანსური პოტენციალის შესახებ. პირველის მოცულობა გაისად 50 მილიონი ლარით განისაზღვრა, მეორესი კი — 5 მილიონი ლარით.

**ოთარ ტურაბელიძე**

◉ ესლა გვაკლდა!

# ნუ ენდობით ფულის „ტომრებს“!

## ახლა უკრაინულად ვიოცნებოთ?

**კიევის ყოფილი მერი ლეონიდ ჩერნოვეცკი, რომელიც თურმე 5 წელია, ცხოვრობს საქართველოში და საქართველოს მოქალაქეობაც მიუღია, მომავალ არჩევნებში სასწაულებს გვპირდება!**

**იმის გამო, რომ საქართველო „ძალიან ღარიბი ქვეყანაა“, ჩვენს თანამოქალაქეს გული ძალიან აჩუყებია, მარტო ქველმოქმედებით არ დაკმაყოფილებულა და პოლიტიკური პარტიაც შეუქმნია — „ბედნიერი საქართველო“.**

არ ვიცი, როგორ აპირებს ბატონი ლეონიდი საქართველოს გაბედნიერებას, მაგრამ, საკმაოდ მომხიბვლელ და ამბიციურ დაპირებას კი იძლევა!

მართალია, საქართველოში დაპირებები არავის უკვირს, მაგრამ უკრაინელი კაცისგან ასეთი „თავგანწირვა“ საეჭვოდ გამოიყურება: ესაო, ისაო, პენსიას 400-500 ლარამდე გავზრდიო, ინვესტიციებს შემოვიტანო, სოციალურ მდგომარეობას გავაუმჯობესებო, მძიმე ავადმყოფებს საზღვარგარეთ ვუმკურნალებო...

ისღა დაგვრჩენია, მომავალ არჩევნებში, თუ ჩერნოვეცკის პარტია ოფიციალურად დარეგისტრირდა, ყველა სხვა პოლიტიკური პარტია თუ ალიანსი გადავხაზოთ და გზა „ბედნიერ საქართველოს“ დავუთმოთ — თითქოს 4 წელი ხომ კარგად ვიკვებეთ წინასაარჩევნო დაპირებებით და მომავალი 4 წელიც ხომ წამალივით გვჭირდება. ოღონდ, ახლა „ქართული ოცნების“ ნაცვლად უკრაინულად უნდა ვიოცნებოთ!

ხუმრობა იქით იყოს და საქართველოს პოლიტიკური ცის ტატნობზე ღრუბლის „ბრტყელ-ბრტყელი ფთილების“ მოწმენი რომ შეიძლება გავხდეთ, ცხადია.

დავიწყოთ იქიდან, რატომ გაუჩნდა უკრაინელ ოლიგარქს ასეთი ამბიცია და რატომ ცდილობს საკუთარი ქველმოქმედების გაპოლიტიზებას. რა უნდა მას — ივანიშვილის ხელწერის განმეორება (ისეთ ამბიციები აქვს, გული აგიჩუყდება) და საზოგადოების ხელახლა გაბითურება, თუ ისიც მსოფლიო პოლიტიკის მძევალია და იმას აკეთებს, რასაც აკეთებინებენ?

ბიძინა ივანიშვილის მაგალითზე საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ მილიარდერები და მულტიმილიონერები (ზოგადად ფულის „ტომრები“) ხელისუფლებაში (პოლიტიკაში) არ უნდა მოდიოდნენ — ბუნებრივია, არც ბატონი ჩერნოვეცკი იქნება გამონაკლისი. მით უმეტეს, თუ ივანიშვილის გაპოლიტიკოსება ქართულმა საზოგადოებამ მაშინ ჩვეულებრივ მოვლენად აღიქვა, უკრაინელი მილიარდერის „კეთილი“ ინიციატივა მრავალ კითხვის ნიშანს ბადებს, რომელზეც დადებითი პასუხის გაცემა წარმოუდგენელი იქნება!

ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევთანხმდეთ: „ფულიან ძიებს“ პოლიტიკაში (ხელისუფლებაში) არაფერი ესაქმებათ — მათი ადგილი ბიზნესშია და თუ მაინცდამაინც ქველმოქმედების ჭია შეაწუხებთ, უფალიც დაინახავს და ჩვენც მადლიერი დავრჩებით!

ასე რომ, ბატონო ჩერნოვეცკი გახსოვთ ალბათ ძველი კინოფილმი — „მოსკოვს ცრემლების არ სჯერა“. არც ჩვენ გვჯერა თქვენი დაპირებების და არც იმისი, რომ თქვენი ძალისხმევით საქართველო „ბედნიერი“ იქნება!

თუ სიკეთის გაკეთება გსურთ, აკეთეთ რამდენიც გინდათ. ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ უკვე აღარ ვჭამთ იმას, რაც მომავალში ჩვენი ქვეყნისთვის ძნელად მოსანელებელი იქნება!

**ასე რომ, ნუ ენდობით ფულის ტომრებს!**

**საბა საბახტარაშვილი.**



**მინაწერი: ისე უკრაინა ვალშია საქართველოსთან სააკაშვილის და სხვა ქართველი ჩინოვნიკების ხელახლა გაჩინოვნიკების გამო და ბატონი ჩერნოვეცკი კომპენსაციად ხომ არ მიგვეღო?! ს. ბ.**

◉ ალიან-ჩალიანი



## საქართველოში თავშესაფარს 995 უცხოელი ითხოვს

**საქართველოში** საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი სულ 1 192 პირი ცხოვრობს, 995 უცხოელს კი თავშესაფრის მოთხოვნით, რეგისტრაცია უკვე გავლილი აქვს.

სასტუმრო „ჰოლიდეი ინნ“-ში სახალხო დამცველმა სპეციალური ანგარიშის პრეზენტაციისას განაცხადა, რომ 2015 წლის ოქტომბრის მონაცემებით, ლტოლვილის და ჰუმანიტარული სტატუსების მქონე 1 192 პირი ცხოვრობს და მათი უმრავლესობა ერაყის, უკრაინის, რუსეთისა და სირიის მოქალაქეები არიან.

უჩა ნანუაშვილმა ჟურნალისტებთან განაცხადა, რომ მიუხედავად ცვლილებებისა, კანონმდებლობაში კვლავ არსებობს ხარვეზები.

„მათ შორის ერთ-ერთი თავშესაფრის მაძიებელთა განაცხადის განხილვის ვადებს უკავშირდება, რაც, რიგ შემთხვევაში, შესაძლოა 9 თვემდეც გაგრძელდეს. ეს საკმაოდ დიდი პერიოდია, მით უმეტეს, როდესაც საუბარი ეხება თავშესაფრის მაძიებელს. არის ხარვეზები, რომელიც უკავშირდება მაგალითად უარის შემთხვევაში გასაჩივრების ვადას. ეს ვადა 15 დღეა, რომელიც ასევე არ არის საკმარისი და ჩვენ ამ პერიოდის ერთ თვემდე გაზრდას ვითხოვთ. ჩვენი კანონმდებლობა უნდა დაუახლოვდეს საერთაშორისო სტანდარტებს, რაც ასევე არის ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მოთხოვნა“, — განაცხადა სახალხო დამცველმა.

ანგარიშის პრეზენტაციას სახელმწიფო უწყებების, დიპლომატიური კორპუსისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებიან.

მედიანიუსი

## — თუმც ურემი მეორედაც გადაბრუნდა...

# ფუჭი ლაპარაკი — ფედერაცია-კონფედერაციაზე

**საქართველოს პრესის ფურცლებზე იშვიათად, მაგრამ მაინც წააწყდებით მასალას აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნების თაობაზე. „იშვიათადო“, იმიტომ ვამბობ, რომ ამ თემას დღეს ნაკლები ყურადღება ეთმობა, ვიდრე გუშინ, რაც არ არის გასაკვირი. დრო არის მკურნალი ნებისმიერი ჭრილობის მოშუშებისა, თუმცა, დაკარგული ტერიტორიები ისეთი იარაა, კარგა ხანს რომ თავს შეგვახსენებს.**

**უნებლიეთ იბადება კითხვა — შევძლებთ თუ არა ჭრილობის მოშუშებას და როდის? - რაც დრო გადის, სულ უფრო ნათლად ჩანს, რომ საკითხის მოგვარება მთლად ჩვენზე არ არის დამოკიდებული, რომ სხვამაც უნდა იღვაწოს ამისთვის, ჩვენთან ერთად.**

საბჭოთა პერიოდის დროსაც აფხაზეთის საკითხი მუდამ იდგა დღის წესრიგში, რაც კარგად ახსოვს ძველ თაობას, მაგრამ მას არ მიეცა ისეთი გასაქანი, როგორსაც ისურვებდნენ სეპარატისტულად განწყობილი აფხაზი საზოგადო მოღვაწეები. მათი მიზნების მიღწევას ოფიციალური მოსკოვი ნეგატიურად აღიქვამდა.

ასე მოვედით 1991 წლის დეკემბრამდე — საბჭოთა კავშირის დაშლის გამოცხადებამდე. საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის ყოფნის მაგალითი - საბჭოეთის დროინდელი გვახსოვს, რაშიც სრულიად ვეთანხმები შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრს პაატა ზაქარეიშვილს.

აფხაზეთთან ერთად საქართველოს სახელმწიფო მოწყობის გამოცდილებას საბჭოეთის დაშლასთან ერთად დაესვა წერტილი და მასში დიდი წვლილი ოფიციალურმა თბილისმაც შეიტანა — საკუთარი გამოუცდელობით, საერთაშორისო ცხოვრებაში გაუთვითცნობიერებლობით, ცენტრიდან, ავტონომიების მართვის ტრფიალით.

აფხაზეთის ძალით დამორჩილების სურვილი იმდენად ძლიერი გამოდგა, თავიც დაგვავიწყა, საკუთარი შესაძლებლობაც და საუკუნოვანი ძმობა-მეგობრობაც. ძმათა შორის ურთიერთობათა გაუარესებაში მარტო ერთი მხარის, ანუ საქართველოს, დადანაშაულება შეცდომაა. აფხაზეთსაც მიუძღვოდა წვლილი დაპირისპირებაში, მაგრამ ცენტრს რომ ჭარბი, ფაქტია.

საქართველოს დამოუკიდებლად ცხოვრების პერიოდში ასეთ შეცდომა, დანაშაულის ტოლფასი, 2-ჯერ მოხდა — 1992 და 2008 წლების აგვისტოში. პირველ შემთხვევაში სამხედრო ლაშქრით ამიერკავკასიის რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის დაცვა იყო საბაბი. სინამდვილეში აფხაზეთის პოლიტიკის დაგრილება, რასაც ომი მოჰყვა. მეორე შემთხვევაში, ცხინვალის რეგიონში ქვეყნის იურისდიქციის აღდგენის საბაბით მძინარე ცხინვალზე სამხედრო აგრესიის განხორციელება.

ამ ორ აგრესიას ერთმანეთისგან 23 წელიწადი აშორებს, მაგრამ განვლილ წლებს ქართველ პოლიტიკოსთა აზროვნებაზე, პოლიტიკურ სიმწიფესა და ალღოზე არავითარი სასიკეთო დაღი არ დაუსვამს. ქართული პოლიტიკა დარჩა ისეთი, როგორიც იყო — ვერტიკალური სახელმწიფო მმართველობის სრული მხარდამჭერი.

ესოდენ რთული საკითხისადმი მსგავსი დამოკიდებულება დღესაც ძალაშია, რაც კარგად ჩანს „სახალხო ფრონტის“ ლიდერის ნოდარ ნათაძის განცხადებებში. ნათაძე მარტო არ არის, მას მხარს ზოგიერთი ძველი პარლამენტარი და ქართველი საზოგადოების გარკვეული ნაწილი უჭერს. ყველანი აუგად მოიხსენიებენ ზაქარეიშვილს, განცხადებისთვის — საქართველო მზადაა, განიხილოს სახელმწიფოს ფედერალური მოწყობის შემოღების საკითხი.

**უსმენ ამ პაექრობას და უნებლიეთ გეცინება — რაზე კამათობთ, ბატონებო; რას მოითხოვთ, რა კონფედერაცია-ფედერაციას, ვერტიკალური მართვის სისტემას და ვისთან? ვერც ერთს და ვერც მეორეს ვერ დაუნახავთ, როგორ ჩაიქროლა აფხაზეთისა და სამხრეთ-ოსეთის მატარებელმა.**

ზაქარეიშვილისეული „ფედერაციული მოწყობა“ აჭარას თუ შეეხება, ვინაიდან აფხაზეთი და სამხრეთ-ოსეთი რახანია დამოუკიდებლად აღიარა რუსეთმა და კიდევ ერთი-ორმა სხვა ქვეყანამ, რაც სრულიად საკმარისია ორივესთვის, უარი თქვას ქართულ „შეთავაზებაზე“, ვინაიდან „ფედერაცია“, თავისი პოლიტიკური არსით, დიდად ჩამოუვარდება დამოუკიდებლობას. და თუ ფედერაცია მიუღებელია ყოფილი ავტონომიებისთვის, ნათაძისეული ვერტიკალური სისტემა ასჯერ უფრო მიუღებელია.

არადა, პირველი ვარიანტი სრულიად მისაღები იყო აფხაზეთისთვის 1991 წლიდან დაწყებული, 1992 წლის აგვისტომდე ანუ ომის დაწყებამდე. მაშინ, ჯერ კიდევ არსებობდა საბჭოური ფედერალიზმის გამოძახილი და მის ოდნავ გადაკეთებას სრულიად გაიზიარებდნენ აფხაზი პოლიტიკოსები და მათი ლიდერი ვლადისლავ არძინბა. დასტურად შევარდნაძის სახელზე არძინბას წერილების მოყვანაც კმარა, სადაც ლაპარაკი იყო საქართველოს ახალი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებაზე, მეტადრე ფედერაციულის.

შევარდნაძემ ყურადღება არ მიაქცია არძინბას წინადადებას და ნაცვლად მოლაპარაკებისა, ჯარი აფრინა აფხაზთა პოლიტიკური ვნებების მოსათოკად, თუმცა, მოტივად რკინიგზის დაცვა დაასახელა. შევარდნაძისა და მისი პოლიტიკური გარემოცვის სავალალო გადაწყვეტილება პოლიტიკური მოუმწიფებლობით იყო გამოწვეული და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, დამოუკიდებლად ქვეყნის მართვის არცოდნით.




იმჟამინდელმა ქართულმა პოლიტიკამ არაფერი იცოდა ევროპული ფედერაციულ-კონფედერაციული სახელმწიფო მმართველობის თაობაზე. არც დრო ჰქონდა სწავლის. შიდა აბურდულ ცხოვრებას ბევრი მიჰქონდა. გახსოვთ, ალბათ გაყინული ბინები, საჯარო დაწესებულებები, უშუქობა, პურზე გრძელი რიგები — სრულიად შეუფერებელი ვითარება სახელმწიფო საქმის სერიოზული კეთებისთვის. თუმცა სახელმწიფო მართვის სისტემის ჩამოსაყალიბებლად მაინც უნდა გამოენახა დრო. ვერ გამონახა. რაც გამონახა — საკითხის ძალისმიერი გზით გადაჭრა იყო. და როდესაც ამანაც ვერ გაჭრა, დასავლეთს სთხოვა დახმარება, რამაც გაანაწყენა რუსეთი.

პოლიტიკოსთა ახალი თაობა, „მოქალაქეთა კავშირში“ დაფრთიანებული და 1995 წლიდან მოყოლებული ევროპა-ამერიკაში „ნატრენინგალ-ნავალი“, ისეთივე ბრიყვი გამოდგა, ყოფილ ავტონომიებთან საერთოდ ცხოვრების ევროპული ვარიანტების გაუზიარებლობის თვალსაზრისით, როგორც წინამორბედი.

თუ წინას, საბჭოეთის დროიდან გამოყოლილი ვერტიკალური მართვის გამოცდილების გარდა სხვა არაფერი გააჩნდა, მის მონაცვლეს, ევროატლანტიკურ „წყალდალეულს“, რაღაც მაინც უნდა შეესწავლა. მაგრამ არა! მანაც ვერტიკალური მართვის ძველებური გზა აირჩია, რამაც 2004 წლიდან დაწყებული არაერთხელ იჩინა თავი და საბოლოოდ სამხედრო კონფლიქტამდე მიგვიყვანა.

2008 წლის აგვისტომდე, განსაკუთრებით მის შემდეგ, პარტნიორად აღქმული დასავლეთი კისრით გადაეშვა მღვრიე ქართულ პოლიტიკურ პროცესში და ყველაფერი იღონა მისი მოგვარების გასაჭიანურებლად.

შეიძლებოდა თუ არა აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის პრობლემების მოგვარება?

შევარდნაძის პერიოდში, განსაკუთრებით 2000-2003 წლებში, „ვარდების რევოლუციამდე“, შესაძლებელი იყო, რის დასტურად ქართველ და აფხაზ პოლიტიკოსთა და საზოგადო მოღვაწეთა მიერ ე.წ. შლაინინგის პროცესის დროს შემუშავებული პროექტის მოყვანა შეიძლება.

ავსტრიის დაბა შლაინინგში სისტემატურად იმართებოდა ქართულ-აფხაზური შეხვედრები, რომელსაც ორგანიზაციას გერმანელი და ინგლისელი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები უკეთებდნენ. 2003 წლის დასაწყისში მხარეები მივიდნენ იმ წერტილამდე, შერიგების დასაწყისი რომ ჰქვია. პროექტის მიხედვით, 10 წლის განმავლობაში უნდა აღმდგარიყო ყველა დონის ურთიერთობა, გარდა პოლიტიკურისა. 10 წლის განმავლობაში არ უნდა დასმულიყო აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით არც ერთი კითხვა. მხოლოდ ურთიერთობათა აღდგენას უნდა მიეყვანა მხარეები სტატუსის განსაზღვრამდე.

თბილისმა ჯეროვნად ვერ შეაფასა ეს შანსი. ნათქვამია, ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო - ურემი ორჯერ გადაბრუნდა. გზაც გამოჩნდა. პირველ შემთხვევაში ისეთი, რომელსაც შერიგებამდე მიყვანა შეეძლო, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ მრავალი მიზეზის გამო. მათ შორის არასათანადო სურვილიც იყო. მეორე შემთხვევა საბედისწერო გამოდგა, რამაც საბოლოოდ თუ არა, მრავალი წლით მაინც წერტილი დაუსვა ავტონომიების დაბრუნების თემას.

რუსეთის ფრთებქვეშ შეყუჟული აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის ძალისმიერი დაბრუნება ისეთივე აბსურდია, როგორც ქართველი კოსმონავტის მარსზე გაფრენა. ვერც სხვა გზით იქნება შესაძლებელი განდეგილთა შემობრუნება. ზაქარეიშვილის ფედერაციული სახელმწიფო მოწყობის შეთავაზება დაგვიანებული და უადგილოა, ვინაიდან დამოუკიდებლობის დამოკიდებულებაზე გაცვლა ყოველგვარ ლოგიკას არის მოკლებული. მსოფლიოში იშვიათად მოიძებნება (თუ მოიძებნა) ქვეყანა, რომელიც მსგავს ნაბიჯს გადადგამს. ამ შემთხვევაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ფედერაციულ გერმანიასთან შეერთების მაგალითი არ გამოდგება.

საქართველო ყველა პარამეტრით ჩამოუვარდება რუსეთს, რომელთანაც მჭიდრო თანამშრომლობა აქვთ სოხუმ-ცხინვალს. საქართველო არაფრითაა მიმზიდველი განდეგილებისთვის, ამდენად არც ზაქარეიშვილის და არც ნათაძის ე.წ. ვარიანტები არ გამოდგება. მაშ, რას ვკამათობთ, რატომ ვხარჯავთ დროს ტყუილ ლაპარაკში?

ზაქარეიშვილის „ფედერაციას“ სხვა დატვირთვა აქვს, რაც მოახლოებული საპარლამენტო არჩევნებით არის განპირობებული. 2012 წლის არჩევნების დროს „საოცნებო“ კოალიცია დაპირდა ხალხს დაკარგულის დაბრუნებას. ვერაფერი გააკეთა და რომ ვერ, 2016 წლის არჩევნებისთვის ძველი „პლასტინკა“ დაატრიალა — „ფედერაციის“ ბოძების დამატებით. ავტორი მიიჩნევს, რომ სულ არაფერს ანუ არდაბრუნებას, ანუ დაპირების შეუსრულებლობას, „ფედერაციის“ შეთავაზება სჯობს. კოალიცია იმას მაინც იტყვის — ჩვენ ხომ შევთავაზეთ, მეტი რაღა ვქნათო?!

დღევანდელი ხელისუფლების პოზა, სირაქლემისას ჰგავს, რასაც ხვდება ხალხი. ვითარების გამოსწორებას აბსტრაქტული შეთავაზებები ვერ უშველის. კარდინალური ზომების მიღებაა საჭირო ანუ რუსეთთან ნორმალური ურთიერთობების აღდგენა-ჩამოყალიბება. იქ და სოხუმ-ცხინვალში დევს შერიგების გასაღები და არა ბრიუსელში.

მცდარია მოსაზრება, რომ ნატოში შესვლით გადაიჭრება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის თემა. პირიქით, სამარადისოდ დაესმება წერტილი. თუმცა ეს ნაკლებად ადარდებს კოალიციის წევრ „რესპუბლიკელებს“, რომლებსაც, სხვებთან შედარებით, უფრო მეტად უჭირავთ თვალი ნატოზე და, აქედან გამომდინარე, ხან რას მოიგონებენ და ხან — რას. მარტო ლევან ბერძენიშვილის განცხადება რად ღირს — შევიდეთ ნატოში მისი წესდების მე-5 მუხლის გარეშეო.

ბერძენიშვილის განმარტებით — ეს, წინადადება თითქოს ბრიუსელიდან შესთავაზეს, არადა ქართულ „მახვილგონიერებას“ უფრო ჰგავს, ვირეშმაკობა რომ ჰქვია. მისი შემდეგია არსი: მთავარი, ნატოში შეგვიშვან და მერე ვნახოთ, როგორ არ დაგვიცავენ რუსეთის აგრესიისგანო. „რესპუბლიკელებს“ ეკუთვნის მოსაზრება, რომ დაკარგული ავტონომიები ნატოში მიღების ბარიერი არ იქნება. ეს მოსაზრება, უფრო მოწოდებას ჰგავს — რა დროს ავტონომიებია, როდესაც ნატოური „ბედნიერება“ კარსაა მომდგარი.

ამ შემთხვევაში არა მარტო „რესპუბლიკელთა“ მიზნები მჟღავნდება (sic: მზეურდება), ჩვენი „სტრატეგიული“ პარტნიორის ამერიკელების, მას — დაჰყავი და იბატონე ჰქვია. ცხადია, ამჯერად მათ ისე არ გამოუვიდათ, როგორც იუგოსლავიაში — რუსეთმა შეუშალა ხელი, მაგრამ ის, რაც გამოუვიდათ, საკმარისია რუსეთის სამხრეთ საზღვრებთან მუდამ მოგიზგიზე ცეცხლოვანი კერის შესაქმნელად.

ნატოში შესული საქართველო, საქართველოში შემოსული ნატოს სამხედრო ბლოკია. ნატოს წესდებიდან გამომდინარე, საქართველოს ბევრი რამ აშორებს ნატომდე, მაგრამ არსებობს პოლიტიკური ნება, რომელიც ყურადღებას არ მიაქცევს არც წესდებას, არც სხვას და პოლიტიკური კონიუნქტურის გათვალისწინებით, მიიღებს გადაწყვეტილებას. მაგალითად, მონტენეგროც კმარა. ამ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა ეწინააღმდეგება ნატოში შესვლას, მაგრამ ნატოს გენერალურმა მდივანმა სტოლტენბერგმა სულ ახლახან მიიწვია ეს ქვეყანა ნატოში, თანაც ყოველგვარი რეფერენდუმის გარეშე.

არ არის გამორიცხული მსგავსი გადაწყვეტილების მიღება საქართველოსთან მიმართებაშიც, თუნდაც გამთლიანების ხარჯზე. სწორედ ამითაა განპირობებული ფედერაცია-კონფედერაციაზე, ნატოს წესდების მე-5 მუხლზე, სხვა თითიდან გამოწოვილ საკითხებზე ლაპარაკი. „რესპუბლიკელთა“, ადრე „ნაციონალთა“ მოქმედებით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება — რაც ცუდი, მით უკეთესი. მაგრამ ვისთვის ცუდი? — ქვეყნისთვის, უპირველეს ყოვლისა. კარგი? — საკუთარი თავისთვის. საქართველოს ნატოში შეყვანით, ისინი პირნათლად შეასრულებენ აშშ-ზე მიცემულ სიტყვას.



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

◉ ვეტერანი ენერგეტიკოსი გვთავაზობს

# პასუხის გაცემას წინ რა უდგას?

## ტობარიჰესი ამერიკელმა ინჟინრებმა ააშენონ!

**არიან ადამიანები, რომლებიც ღრმა მოხუცებულობის ასაკშიც არ წყვეტენ შემოქმედებით საქმიანობას, ნიადაგ იმის ფიქრში არიან, რა არგონ საკუთარ ქვეყანასა და ხალხს.** ერთ ასეთ პიროვნებას, ენერგეტიკის ღვაწლმოსილ მუშაკს, ოთხმოცდაათს მიღწეულ **ანატოლი გეწაძეს** ამ დღეებში გავეცანი და ვესაუბრე.



ეს ის სპეციალისტი გახლავთ, რომელიც მაშინდელი პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ წლების მანძილზე მუშაობდა ტრესტ „საქჰიდროენერგომშენში“, იყო სამგორის სარწყავი სისტემის, ორთაჭალჰესისა და ბჟუჟაჰესის მშენებლობის აქტიური მონაწილე, მთელ თავის სამოღვაწეო პერიოდში მაღალი თანამდებობრივი პოსტების პარალელურად ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას. მას მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული მშენებლის საპატიო წოდება, არის შრომის ვეტერანი და პერსონალური პენსიონერი.

ვეტერანი ენერგეტიკოსი გულისტკივილით იხსენებს გასული საუკუნის 90-იანი წლების შავბნელ პერიოდს, როცა საქართველო ღრმა ენერგეტიკულმა კრიზისმა მოიცვა, როცა დარგს არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა ეროვნული მეურნეობის შემცირებული მოთხოვნილებებიც კი სათბობ-ენერგეტიკულ რესურსებზე. ფინანსების უქონლობის გამო, — ამბობს ბატონი ანატოლი, — საქმე იქამდე მივიდა, რომ შეუძლებელი იყო დანადგარებზე უბრალო პროფილაქტიკური რემონტების ჩატარებაც კი, გახშირდა ავარიები, ქვეყნის ქალაქები და სოფლები წყვდიადმა მოიცვა.

— კარგია, რომ ეს სიძნელეები უკან მოვიტოვეთ, — სახე ულიმის თანამოსაუბრეს, პირველი ნაბიჯები ელექტროტექნიკური დარგის რეორგანიზაციისაკენ გადაიდგა 1995 წელს, ხოლო მასშტაბური რეფორმები დაიწყო 1996 წლიდან, რამაც სასურველი შედეგი გამოიღო. 2005-2007 წლებში ბიუჯეტიდან გამოიყო სათანადო თანხები, რაც მოხმარდა ელექტროსადგურების აუცილებელ სარეაბილიტაციო სამუშაოებს. სასიამოვნოა, რომ აღმშენებლობის პროცესი გრძელდება, შენდება ახალი ენერგოობიექტები, უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორების მონაწილეობით იქმნება დამატებითი სიმძლავრეები.

იქვე დაამატა, რომ არ მოსწონს, როცა ამ სიმძლავრეების მშენებლებად გვევლინებიან ზოგჯერ არცთუ სახარბიელო რეპუტაციის მქონე უცხოური კომპანიები. არ უნდა დაგვავიწყდეს, ამბობს ვეტერანი ინჟინერი, რომ სწორედ ქართველმა სპეციალისტებმა დააპროექტეს საბჭოური პერიოდის პირველი თაღოვანი კაშხალი (ლაჯანური) და მსოფლიოში რეკორდული სიმაღლის (271,5 მეტრი) ენგურის თაღოვანი კაშხალი და წარმატებით ააშენეს კიდეც ისინი.

და თუ მაინც და მაინც უცხოელების აშენებული ენერგოსიმძლავრეები მოგვწონს, ბატონ ანატოლი გეწაძეს უპრიანად მიაჩნია, პირველ რიგში მოვიწვიოთ ჩვენი მთავარი სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის — ამერიკის არმიის ინჟინერთა კორპუსი, რომლის სამუშაოთა ფართო სპექტრი ჰიდროენერგეტიკულ მშენებლობასაც მოიცავს. მას აშენებული აქვს ისეთი დიდი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურები, როგორებიცაა ჩიფ-ჯოზეფი, მანკერი, დევისი, კუგარი, ტერმინიუსი, ნიუ-ჰოგენი და სხვები. ამ უწყების განკარგულებაშია როგორც სამშენებლო სტრუქტურები, ისე საპროექტო-საძიებო, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, მასშტაბური ჰიდრავლიკური ლაბორატორიები, თანამედროვე სამშენებლო ტექნიკა და ტვირთამწეობის სატრანსპორტო საშუალებები.

ამჟამად ენერგეტიკის სამინისტროს აქცენტი მიმართულია ხუდონჰესის რეაბილიტაციაზე, რაც სვანური სოფლების დატბორვის გარეშეც, ვეტერან მშენებელს პრობლემად მიაჩნია. იმის გამო, რომ თავის დროზე ხუდონჰესი კონსერვაციაზე არ გადაიყვანეს, ობიექტის მშენებლობა დამძიმებულ პირობებში აღმოჩნდა. ახლა მისი ბეტონის თაღოვანი კაშხლის აღდგენა მოითხოვს დეფიციტური მასალების (ცემენტი-ფოლადი) ხარჯვას და დაფინანსების გაზრდას, რაც გააჭიანურებს და გააძვირებს მშენებლობას. ეს მაშინ, როცა მასზე გაცილებით მძლავრი ჰირდროკვანძის — ტობარიჰესის კაშხლის აშენება შესაძლებელია ადგილობრივი იაფი სამშენებლო მასალით. ამ ორი ვარიანტიდან ანატოლი გეწაძის პროფესიული სიმპათიები ტობარიჰესისკენ იხრება, რადგან მისი აშენება უფრო სწრაფად და იაფად შეიძლება. ეს ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში ქართველი სპეციალისტების მეცნიერული კვლევით დადასტურდა.

იმ შემთხვევაში, თუ ტობარჰესის ასაშენებლად ამერიკის ხსენებულ სტრუქტურას მოვიწვევთ, ვეტერანი სპეციალისტის აზრით, მშენებლობის პროცესში სამშენებლო ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებათა საიმედო, უწყვეტი ფუნქციონირებისთვის ბაზად შეიძლება გამოვიყენოთ ქუთაისის გაჩერებული ავტოქარხნის პოტენციური შესაძლებლობები (ძირითადად მაღალი კლასის სპეციალისტებისა და დიდი საწარმოო ფართობის სახით). ქარხნის რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის შედეგად მშენებლობას ექნება ბაზა, სადაც სწრაფად შესრულდება დაზიანებული მანქანა-დანადგარების სარემონტო-აღდგენითი ოპერაციები. ამის გამოცდილება ამერიკელებს აქვთ.

ამერიკელებს, რა თქმა უნდა, ტობარიჰესის მშენებლობა არ გაუჭირდებათ, მაგრამ ცუდი ის არის, რომ როცა ამ წინადადებით ჯერ კიდევ 2007 წლის აპრილში მოვმართე ენერგეტიკის მაშინდელ მინისტრს ნიკა გილაურს (შემდეგ ხეთაგურსაც), მათ არა თუ არ განუხილავთ ჩემი წინადადება, ვფიქრობ, არც გასცნობიან და არც იმით შეუწუხებიათ თავი, პასუხი მაინც ეცნობებინათ, — წუხს ვეტერანი ენერგეტიკოსი.

## მერიამ მტკვარზე ახალი ჰესები უნდა ააგოს

**— მაქვს მეორე წინადადებაც, რომელიც ჩემს უფროს კოლეგა გიორგი გიგიბერიასთან ერთად შევიმუშავე. პარტნიორი შემთხვევით არ შემირჩევია, ის, პროფესიით ჰიდროტექნიკური მშენებლობის სპეციალისტი, წლების მანძილზე მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტში ხელმძღვანელ პოსტებზე, ჩატარებული აქვს ენგურის, ჟინვალის, ხრამის, ნამახვანის კასკადის ჰიდროელექტროსადგურების ნაგებობათა ჰიდრავლიკური გამოკვლევები, მინიჭებული აქვს „დამსახურებული ენერგეტიკოსის“ საპატიო წოდება, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.**

რეგალიები იმიტომ მოვიხსენიე, რომ მინდა მკითხველმა იცოდეს და იმათაც, ვისაც ხელისუფლებაში ამა თუ იმ წინადადებით მივმართავთ, რომ ჩვენ მდიდარი გამოცდილების მქონე სპეციალისტები ვართ და დაუსაბუთებლად, ჰაერზე არაფერს ვლაპარაკობთ. ერთი ასეთი წინადადება გახლავთ თბილისში, მდინარე მტკვრის კალაპოტზე 3 ახალი ჰესის აშენება. დღემდე დედაქალაქს მხოლოდ ორთაჭალჰესი ჰქონდა, ბოლო წლებში თბილისი ტერიტორიულად მნიშვნელოვნად გაიზარდა და ახალი ჰესების აშენების პერსპექტივაც გაჩნდა.

**— დღეს ჰესები საქართველოში საკმაოდ ბევრი შენდება, თუ მათ რიცხვს ესენიც დაემატება, რეალურად რა სიკეთს მოუტანს თბილისსა და თბილისელებს?**

— ძალიან ბევრს. აი დავხედოთ თბილისის რუკას, თუ დღემდე მტკვარი იტბორებოდა ორთაჭალჰესიდან თამარ მეფის ხიდამდე, სულ რაღაც 6 კილომეტრზე, ჰესების დამატების შემთხვევაში ეს მანძილი გაიზრდება 25 კილომეტრამდე და მიაღწევს ზაჰესამდე. ამით, გარდა იმისა, რომ თბილისი დამატებით გაწყლიანდება და ეკოლოგიური გარემო გაუმჯობესდება, შეიქმნება მტკვრის სანაოსნოდ გამოყენების და, შესაბამისად, ტურისტული ნაკადის გაზრდის შესაძლებლობა. პროგრამაში ზის ახალი ხიდების მშენებლობაც, რაც გააუმჯობესებს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას და განტვირთავს დედაქალაქს სატკივრად ქცეული საცობებისგან. აღარაფერს ვამბობ დამატებით მიღებულ ენერგოწყაროზე, რომელიც თბილისელებს გაზრდილი ელექტროტარიფების ტვირთს მნიშვნელოვნად შეუმსუბუქებს.

**— ამის თაობაზე თუ მიმართეთ თბილისის მერიას და რა პასუხი გაგცეს?**

— როგორ არ მივმართეთ, ჩვენი ჩანაფიქრი, წერილობითაც ვაცნობე და პირადადაც ვეახლე საკრებულოს თავმჯდომარეს, ცალკეულ დეპუტატებს, არქიტექტურის სამსახურის მუშაკებს, მაგრამ პასუხი ვერსაიდან ვერ მივიღე. საჭიროა ჰესების ტექნიკური მონაცემების დაზუსტება, ინვესტორის მოძიება, ტენდერის გამოცხადება და ასე შემდეგ. ჩვენ, ხანდაზმულ პენსიონერებს, საამისო თანხები სად გაგვაჩნია, მათ კი ვისაც ამის გაკეთება ევალებათ და სათანადო სახსრებიც აქვთ, პასუხის გაცემაც არ უნდათ.

* * *

**ცუდია, ძალიან ცუდი. ვფიქრობ, ეს არ არის ის წინადადება-შეთავაზება, რომელსაც შეიძლება არც გაეცნო, უბრალოდ აიღო და გადააგდო. წინადადება, რომელიც ჩვენი დედაქალაქის სამომავლო კეთილდღეობაზეა გათვლილი, შეიძლება დაუსაბუთებლად გეჩვენოს და არ მოგეწონოს, ან ქალაქის ბიუჯეტს ამჯერად საამისო თანხები არ გააჩნდეს, მაგრამ ამ თაოსნობის ავტორებისთვის პასუხს წინ რაღა უდგას?**

**ალბათ, ბიუროკრატიული უპასუხისმგებლობა, სხვა არაფერი.**

**ოთარ ხუციშვილი**

◉ ალიან-ჩალიანი

## შენდება „საგურამოჰესი“

**მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ საგურამოში, თიბისი ბანკის მიერ დაფინანსებული ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა იწყება. „საგურამოჰესის“ მშენებლობის ერთადერთი დამფინანსებელი საკრედიტო ინსტიტუტი თიბისი ბანკია, რომელიც პროექტში 6 მლნ ლარამდე ინვესტიციას განახორციელებს.**

**„საგურამოჰესის“ მშენებლობის ოფიციალური გახსნის ცერემონიალს ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე, თიბისი ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე კორპორატიული საბანკო ბიზნესის მართვის დარგში, დავით წიკლაური და კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ გენერალური დირექტორი, გიორგი ცხადაძე დაესწრნენ.**

**„თიბისი ბანკი მუდმივად ცდილობს, საქართველოში ენერგოსექტორის განვითარებას შეუწყოს ხელი. „საგურამოჰესი“ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში თიბისი ბანკის მიერ დაფინანსებული უკვე მე-11 პროექტია. ვფიქრობთ, რომ ენერგოსექტორს საქართველოში საკმაოდ დიდი პერსპექტივა აქვს, ამიტომ მომავალშიც აქტიურად ვითანამშრომლებთ ამ სფეროში მოქმედ კომპანიებთან“, — განაცხადა თიბისი ბანკის კორპორატიული საბანკო ბიზნესის მართვის დირექტორმა დავით წიკლაურმა.**

**საგურამოს ჰიდროელექტროსადგურის ამოქმედება 2016 წლის ბოლოსათვის იგეგმება. ჰესის სიმძლავრე 4,4 მგვტ იქნება, წლიური გამომუშავება კი — 32 მლნ.კვტსთ.**

**ჰიდროელექტროსადგურისთვის ტურბინას, გენერატორს და დამხმარე მოწყობილობებს ავსტრიული კომპანია ANDRITZ HYDRO SAS დამზადებს.**

**გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ნებართვა კომპანიას უკვე მიღებული აქვს და დაწყებულია მშენებლობისათვის მოსამზადებელი სამუშაოები.**

**„საგურამოჰესი“ მთელი წლის განმავლობაში თანაბარი სიმძლავრით იმუშავებს, რითაც ზამთრის დეფიციტი შემცირდება. მომავალში შესაძლებელია ჰესში გატარებული სუფთა წყლის გადამუშავება და თბილისის წყალმომარაგებისთვის გამოყენება.**

## პაციენტთა და ექიმთა უფლებები რომ არ დაირღვეს

**პაციენტისა და ექიმის უფლებების უკეთ დაცვის მიზნით, სამედიცინო ასოციაციების გაერთიანების წევრი დარგობრივი ასოციაციები იმ გართულებების მინიმალურ ჩამონათვალს შეიმუშავებენ, რომელიც ამა თუ იმ სამედიცინო მანიპულაციის დროს შეიძლება წარმოიშვას.**

**სია პაციენტის ინფორმირებული თანხმობის ფურცელს დაერთვება თან. როგორც გაერთიანების წევრები აღნიშნავენ, ჩამონათვალი ვერ იქნება სრულყოფილი და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ჩარევის სპეციფიკიდან და პაციენტის მდგომარეობიდან გამომდინარე, ექიმს საშუალება ექნება აღნიშნულ ჩამონათვალს დაუმატოს სხვა მოსალოდნელი გართულების შესახებ ინფორმაცია.**

**აღნიშნული ცვლილება უზრუნველყოფს როგორც ექიმის, ისე პაციენტის უფლებების დაცვას, რაც ქვეყანაში ექიმთა პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის განვითარებას შეუწყობს ხელს .**

ბათუმში ახალი ცენტრი შეიქმნა



# ყოფილი დეპუტატები ერთიანდებიან

**აშკარაა, ხელისუფლება ჯეროვნად ვერ უმკლავდება ქვეყნის წინაშე მდგარ გამოწვევებს. ეს კი, ბუნებრივია, მოსახლეობის მზარდ უკმაყოფილებას იწვევს. საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები ცდილობენ მდგომარეობიდან გამოსავალი ეძიონ და თავისი წვლილი შეიტანონ სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში, დემოკრატიის გადარჩენაში. განსაკუთრებით შემაშფოთებელი ვითარებაა აჭარაში, სადაც ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, ფაქტობრივად, პარალიზებულია. მას შემდეგ, რაც აჭარის უმაღლეს საბჭოში „ოცნების კოალიციამ“ უმრავლესობა დაკარგა, ისედაც სუსტი და სკანდალებს გადაყოლილი „პარლამენტი“ მთლად მოიშალ-დაიშალა. თუ აქაური დებუტატები 2012 წელს აცხადებდნენ, რომ მათი ძირითადი საქმიანობა და დანიშნულება კანონშემოქმედებითი საქმიანობა არის და სხვა რამისთვის ვერ მოიცლიდნენ, ახლა აღარც ამას ამბობენ და უშფოთველად ელოდებიან მაღალი ხელფასების და პრემია-დანამატების მიღების დღეს. სამაგიეროდ გააქტიურდნენ აჭარაში მცხოვრები საქართველოს სხვადასხვა მოწვევის პარლამენტის დებუტატები. როგორც ჩანს, ცხოვრებაგამოვლილი, საქმის პროფესიონალ და საკანონმდებლო ორგანოში საქმიანობის მცოდნე ადამიანებს მოსწყინდათ სახელმწიფო სტრუქტურებში მოკალათებული ნეპოტიზმის წყალობით დასაქმებული დილეტანტების უსაქმურობის ყურება და გადაწყვიტეს, საკუთარი წვლილი შეიტანონ ქვეყნის გადარჩენაში, ამიტომაც ახლახან ბათუმში შეიქმნა აჭარიდან საქართველოს სხვადასხვა მოწვევის პარლამენტის წევრებისგან შემდგარი არასამთავრობო ორგანიზაცია.**

**დღეს „საქართველოს რესპუბლიკის“ სტუმარია პარლამენტის ყოფილ დეპუტატთა ბათუმის ცენტრის დამფუძნებელთა ჯგუფის ხელმძღვანელი, 1992-95 წლების საქართველოს პარლამენტის დეპუტატი თამაზ ცინცაძე:**

„საკმაო დრო და ორგანიზება დაგვჭირდა, რათა 2015 წლის 27 ნოემბერს ბათუმში დაფუძნებულიყო არასამთავრობო ორგანიზაცია — საქართველოს პარლამენტის (1990 წლის უზენაეს საბჭოს) და შემდგომი მოწვევის დეპუტატთა ცენტრი, სადაც აჭარიდან არჩეული და აჭარაში საცხოვრებელი ადგილით რეგისტრირებული დეპუტატები გაერთიანდნენ.

ამ კატეგორიის ადამიანთა რეგიონულ ორგანიზაციაში გაერთიანება საქართველოში პარლამენტარების, დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო ინსტიტუტის საქმიანობაში მემკვიდრეობითი ტრადიციების შენარჩუნება და განვითარებაში მონაწილეობა იქნა დასახული მიზნად.

წესდება ითვალისწინებს საქართველოს სახელმწიფოს შექმნის, დამოუკიდებლობის და მნიშვნელოვან ეროვნულ დღესასწაულზე პარლამეტართა მონაწილეობისა და მათი ჩართულობის უზრუნველყოფას. გათვალისწინებულია ადამიანთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების დაცვა. რელიგიური შემწყნარებლობისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში ხელის შეწყობა.

ორგანიზაციის წესდება ითვალისწინებს აგრეთვე, მოიწვიოს სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე. როგორც მედიატორი, მონაწილეობს შიდა კომფლიქტური სიტუაციის დარეგულირებაში, სახალხო დიპლომატის დანერგვაში.

ორგანიზაცია ითვალისწინებს საქართველოს პარლამენტის კომიტეტებსა და მაჟორიტარი დეპუტატების ადგილობრივ ბიუროებთან თანამშრომლობას. საქართველოს პარლამენტის წინა მოწვევის დეპუტატობის ბათუმის ცენტრთან გათვალისწინებულია შეიქმნას ექსპერტთა ჯგუფი, სადაც დეპუტატების გარდა მოწვეული იქნებიან საქმის ცოდნითა და გამოცდილებით გამორჩეული ადამიანები, რომელთაც უშუალოდ დეპუტატი, ცენტრის ერთ-ერთი თანათავმჯდომარე უხელმძღვანელებს. ისინი დეპუტატთა ცენტრის საბჭოს წინაშე იქნებიან ანგარიშვალდებულნი.

დეპუტატთა ბათუმის ცენტრი თანამშრომლობს საქართველოს პარლამენტის „დეპუტატთა პალატასთან“. იგი დაფუძნებულია ქალაქ თბილისში, ქავთარაძის ქუჩა №27-ში, რომელსაც დეპუტატი კობა ამირხანაშვილი ხელმძღვანელობს, დეპუტატთა ბათუმის ცენტრის წესდებაში ერთი საინტერესო მომენტი გაითვალისწინეს. წესდებაში ჩაიწერა, რომ თუ დეპუტატთა პალატის წესდებაში ცვლილებები შევა და რეგიონებში დეპუტატთა რეგიონული ორგანიზაციების შექმნა გადაწყდება, ამ შემთხვევაში დეპუტატთა ბათუმის ცენტრი განიხილავს და გადაწყვეტს, რომ ორგაზაცია დეპუტატთა პალატის შემადგენელ ნაწილად იქცეს.

დეპუტატთა ბათუმის ცენტრის დამფუძნებელთა კრებამ გაიზიარა დეპუტატთა ბათუმის ცენტრის შექმნის საინიციატივო ჯგუფის წინადადება და მის თავმჯდომარედ საქართველოს უმაღლესი საბჭოს 1990 წლის მოწვევის დებუტატი რომან ცხომელიძე აირჩია, ხოლო თანათავმჯდომარეებად — თამაზ ცინცაძე და ნოშრევან მამულაძე, დეპუტატთა ცენტრის აღმასრულებელ მდივნად კი — დეპუტატი დავით წულუკიძე.

დამფუძნებელთა კრებამ დეპუტატთა ბათუმის ცენტრის საბჭო აირჩია დეპუტატთა ცენტრის სათათბირო 17 კაცის შემადგენლობით, რომელსაც დეპუტატთა ცენტრის ერთ-ერთი თანათავმჯდომარე უხელმძღვანელებს. ეს ჯგუფი აქტიურად ითანაშრომლებს არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ხელს შეუწყობს ეროვნული ტრადიციების შენარჩუნებასა და განვითარებას, არ დაუშვებს ორგანიზაციის პოლიტიზებას, არ მოექცევა რომელიმე პოლიტიკური ძალის ზეგავლენის ქვეშ. მთავარია, საზოგადოების ეს გამოცდილი ნაწილი ქვეყნის სამსახურში ჩადგეს.

დეპუტატთა ცენტრთან შექმნილი სათათბირო ორგანიზაციებს გაუწევს საზოგადოებრივ გამოკითხვებს.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, უახლოეს დღეებში გათვალისწინებულია საქართველოს წინა მოწვევის პარლამენტართა გაფართოებული შეკრების მოწყობა, სადაც ბევრი საინტერესო საკითხი განიხილება. ალბათ, იმაზეც იქნება მსჯელობა, რომ ამ ცხოვრებაგამოვლილ, პოლიტიკურად ნაწრთობ ადამიანთა ჯგუფს თუ რა საკითხების გადაწყვეტა შეუძლია ქვეყნის ხელმძღვანელობისთვის დემოკრატიის მშენებლობაში აქტიური დახმარების მიზნით. ალბათ, არც ის იქნება მოულოდნელი, რომ მათ ქვეყნის ხელმძღვანელობას კონსტრუქციული ოპონირება გაუწიონ, რაც დემოკრატიულ ქვეყნებში ნორმალურ პროცედურად მიიჩნევა, ისიც კარგადაა ცნობილი, რომ დემოკრატიის მშენებლობა ოპონირების გარეშე შეუძლებელია.

**ამირან კიღურაძე,**
**„სრ“ აჭარა-გურიის საკორესპონდენტო ბიუროს ხელმძღვანელი**

კრიმინალი

## მექრთამე მეტყევე დაკავებულია

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ქრთამის აღების ფაქტზე აჭარის სატყეო სააგენტოს თანამშრომელი დააკავა.**

**გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული, კორუფციულ გარიგებაში შევიდა ერთ-ერთ მოქალაქესთან, მისცა უფლება უკანონოდ მოეპოვებინა ხე-ტყის მასალა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და შემდგომში, საკუთარ თავზე აიღო უკანონოდ მოპოვებული მასალის ტრანსპორტირება. აღნიშნულისთვის დაკავებულმა ქრთამის სახით მოითხოვა 4 500 ლარი, ხოლო წინასწარ აიღო მოთხოვნილი თანხის ნაწილი.**

## თურქი და ქართველი თანამოაზრე ბათუმში ბორდელების გახსნისთვის დააკავეს

**შსს-ს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს და ამავე დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ბრალდებით, 1953 წელს დაბადებული, წარსულში ანალოგიური დანაშაულისთვის ნასამართლევი, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ომერ ი. და 1949 წელს დაბადებული, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე უსუფ თ. დააკავეს, ხოლო 1973 წელს დაბადებული საქართველოს მოქალაქე ლეილა კ. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.**

**გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები ბათუმში, დროებით მფლობელობაში არსებული სასტუმროებისა და დისკოკლუბების ფართებს, გარკვეული თანხის სანაცვლოდ, ქალბატონებს პროსტიტუციისთვის უთმობდნენ. სამართალდამცველებმა სასტუმროებისა და დისკოკლუბების მომსახურე პერსონალი და ქალბატონები მოწმის სახით დაკითხეს.**

## ამოღებულია უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა

**შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1986 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ფორე ბ. თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში დააკავეს.**

**სამართალდამცველებმა, ფორე ბ-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, „მაკაროვის“ სისტემის არარეგისტრირებული პისტოლეტი 1 მჭიდითა და 197 საბრძოლო ვაზნით ამოიღეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.**

## თაღლითი „მაღალჩინოსანთა ნაცნობობითა და ახლობლობით“ სარგებლობდა

**საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის კორუფციულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამმართველოს თანამშრომლებმა დიდი ოდენობით სხვისი ნივთის თაღლითურად დაუფლების მცდელობის ფაქტზე მოქალაქე ზვიად ერემაძე დააკავა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.**

**ბრალდებული ზ.ერემაძე მოქალაქეებთან შედიოდა ნდობაში, საუბრისას იყენებდა პროკურატურისა და სხვა სახელმწიფო უწყებების თანამდებობის პირთა სახელებს და ატყუებდა მათ, რომ ახლო მეგობრულ ურთიერთობებში იმყოფებოდა აღნიშნულ პირებთან. იგი მოქალაქეებს არწმუნებდა, რომ სამართლებრივი პრობლემების მოგვარების მიზნით შეხვედრებს მართავდა სახელმწიფოს სხვადასხვა უწყების თანამდებობის პირებთან და ამ თანამდებობის პირებისთვის ქრთამის სახით გადასაცემად ცდილობდა მოქალაქეებისთვის გამოეძალა დიდი ოდენობით ფულადი თანხა. ზ. ერემაძემ ნარკოტიკული დანაშაულისათვის ბრალდებულ ერთ-ერთ პირს საპროცესო შეთანხმების გაფორმების სანაცვლოდ, თითქოსდა პროკურატურისა და სხვა სამართალდამცავი ორგანოების ცალკეული თანამდებობის პირებისთვის ქრთამის სახით გადასაცემად თაღლითურად გამოართვა 10 000 აშშ დოლარი. ბრალდებულ ერემაძეს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა.**

## მკვლელობა ცხელ კვალზე გაიხსნა

**შსს-ს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1984 წელს დაბადებული დიმიტრი მ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.**

**ბრალდებულმა თელავში, ნადიკვრის ქუჩაზე, ურთიერთშელაპარაკებისას, 1958 წელს დაბადებულ ელენე თ-ს ნაჯახით თავის არეში სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა, რის შედეგადაც ქალბატონი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დიმიტრი მ. თელავში, მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს. დანაშაულის ჩადენის იარაღი - ნაჯახი ნივთმტკიცებად ამოიღეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.**

ჯი-ეიჩ-ენი, მედიანიუსი

ვითარება

# აფხაზეთი საფრთხეში აღმოჩნდა

## როგორ აისახება რუსეთ-თურქეთის დაპირისპირება საქართველოზე?

**რუსეთ-თურქეთის დაპირისპირება დღითი დღე ღრმავდება. ნატომ სამშვიდობო მისიით სამხედრო ესკადრა შეიყვანა შავ ზღვაში. თურქეთი ეკონომიკურ სანქციებს უწესებს რუსეთს. ორი ქვეყნის პრეზიდენტები ერთმანეთს ბრალდებებს უყენებენ. ამ ფონზე საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის განსაზღვრა რთულია, პროგნოზები არცთუ სახარბიელო. რამდენად და როგორ იმოქმედებს არსებული დაძაბულობა საქართველოზე? როგორ აისახება რუსეთ-თურქეთის დაპირისპირება ქართულ რეალობაზე? — „მეტრონომი" ამ და სხვა თემებზე პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძეს ესაუბრა.**



**— ბატონო რამაზ, რუსეთ-თურქეთის დაპირისპირების გაღრმავების, ან თუნდაც გაყინვის შემთხვევაში, საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის შეფასება თუ შეგვიძლია?**

— პროგნოზი მართლაც ძალიან ძნელია. მით უმეტეს, რომ თუ აქამდე თურქეთი თითქოს უკან იხევდა და პუტინი უფრო აგრესიული იყო, დღეს ერდოღანიც აგრესიულია. თურქეთის პრეზიდენტი აცხადებს, რომ რუსეთის მიერ ნავთობის ტერორისტებისგან შეძენას გამოამზეურებს. ანუ რუსეთს იგივე ბრალდებას უყენებს, რაც რუსეთმა თურქეთის წინააღმდეგ გააკეთა ცოტა ხნის წინათ.

ეს ნიშნავს, რომ დაპირისპირება კიდევ ახალ ეტაპზე გადავა. ამ ფონზე ჩვენ, რა თქმა უნდა, ძალიან მძიმე სიტუაციაში აღმოვჩნდებით. ღმერთმა დაგვიფაროს და, საომარი მოქმედებები რომ დაიწყოს, რუსეთი საქართველოს ტერიტორიის გამოყენებას ეცდება. ეს ძალიან მძიმე სიტუაციაში ჩაგვაგდებს. რბილად რომ ვთქვათ, ეს სიტუაცია საქართველოსთვის სახიფათოა.

**— იმ შემთხვევაში თუ ოპტიმისტურად განწყობილნი ვიფიქრებთ, რომ რუსეთ-თურქეთის დაპირისპირება არ გადაიზრდება საომარ მოქმედებებში, ის პერიოდი რაც ახლა დგას ორ ქვეყანას შორის, რა გავლენას ახდენს საქართველოზე?**

— ამ შემთხვევაში უკვე ეკონომისტის კონცეფციაა საინტერესო, რადგან რუსეთისგან თურქეთისკენ და პირიქით ტვირთბრუნვა გამორიცხული არ არის. ამ შემთხვევაში მათ შორის ურთიერთობის გაყინვა ქართულ ეკონომიკაზე აისახება.

**— აფხაზეთისთვისაც მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ რუსული პროდუქციის თურქეთში შეტანაზე სანქციები დაწესდა. როგორ იმოქმედებს ეს აფხაზეთსა და შესაბამისად ჩვენზე?**

— საკითხის მართებული დაყენებაა. აფხაზეთი ძალიან რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდება. ამ ორ წერტილს, რუსეთსა და თურქეთს ეყრდნობოდა მისი ეკონომიკური თუ პოლიტიკური მხარდაჭერა. დღეს თუ ისინი ერთმანეთს დაუპირისპირდებიან, აფხაზეთს შეიძლება ორივესგან მოაკლდეს მხარდაჭერა. თუ მას მხარდაჭერა რუსეთისგან არ მოაკლდება, ეს კიდევ უფრო უარესი იქნება, რადგან შეიძლება აფხაზეთში რუსეთმა კიდევ უფრო გააძლიეროს სამხედრო კონტიგენტის ყოფნა და შეიარაღება, რაც აფხაზეთს უფრო რთულ მდგომარეობაში ჩააგდებს.

რამდენადაც აფხაზეთი ჩვენ გვეხება, იმდენად რთული იქნება ის ჩვენთვის, რაც აფხაზეთს შეეხება, თუ პროცესები გართულდება და მათთვის ძალიან წამგებიანი იქნება რუსეთზე ჩამოკიდება. გამორიცხული არ არის, რომ აფხაზეთმა დამოუკიდებლობის სხვა ვერსიებზე იფიქროს. მანამდეც წამგებიანი იყო აფხაზეთისთვის რუსეთის მხარდაჭერა ასიმილაციის და საკუთარი ეკონომიკის დაკარგვის საფრთხიდან გამომდინარე. თურქეთთან რუსეთის კონფლიქტის შემთხვევაში, აფხაზეთისთვის ამას უკვე დამატებითი სამხედრო საფრთხე დაემატება.

**— ნატომ სამხედრო ესკადრა სამშვიდობო მისიით შავ ზღვაში დაძაბულობის განსამუხტად შეიყვანა. რეალურად ხომ არ ნიშნავს ეს ორ ქვეყანას შორის დაძაბულობის კიდევ უფრო გაღრმავების საშიშროებას?**

— თუ რუსულ დამოკიდებულებას გავითვალისწინებთ, რა თქმა უნდა, გაღრმავებას ნიშნავს, იმიტომ, რომ ნატოს ეს ინიციატივა თურქეთისთვის მხარდაჭერის ნიშანია. ეს არ არის შუაში ჩამდგარი მხარის გამოჩენა. ეს არის ცალსახად თურქეთის მხარდამჭერის ჩართვა პროცესებში.

**— ალბათ, რთულია, ვისუბროთ რუსეთის შესაძლო რეაქციებზე და პროცესებს უნდა დავუცადოთ...**

— რა თქმა უნდა, რთულია, ვისაუბროთ. პროცესებს უნდა დავუცადოთ და ღმერთმა დაგვიფაროს სამხედრო დაპირისპირებისგან. უფრო შორეული პერსპექტივაც აქვს ამ პროცესებს. რუსეთს დღეს სამხედრო ოპერაციები აქვს უკრაინაშიც და სირიაშიც, რაც რუსულ ეკონომიკას უკვე მძიმედ აწევს. თუკი რუსეთმა მესამე საომარი ფრონტი გახსნა ახლა უკვე თურქეთთან, ეს მის ეკონომიკაზე კიდევ უფრო მძიმედ აისახება. რაც მთავარია, საქართველოსთვისაც რთული შეიძლება აღმოჩნდეს ის ეკონომიკური გასაჭირი, რაშიც რუსეთმა თავი საკუთარი ნებით შეიძლება გაყოს. ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან რუსეთში დიდი ქართული დიასპორაა და მათგან საქართველოში ვალუტის დიდი შემონადენია. ეს ყველაფერი საქართველოს ეკონომიკასაც ირიბად დაარტყამს.

სახსენებელია ისიც, რომ თვითონ რუსეთის ტერიტორიაზეა დიდი თურქულენოვანი დასახლებები. გამორიცხული არ არის, რომ მათში მომავალში მაინც გაჩნდეს იმპულსი, რაც რუსეთს დამატებით საფრთხეებს შეუქმნის.

**მანანა ნოდია**

## დედამიწის ზურგზე



**პოროშენკომ ყირიმში ციმბირელების მასობრივი გაგზავნის შესახებ განაცხადა**

უკრაინის პრეზიდენტის სიტყვებით, ციმბირიდან გამოსულები „ამჟამად სწრაფად გადაჰყავთ" ნახევარკუნძულზე. პიოტრ პოროშენკომ ასევე ივარაუდა, რომ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს შეუძლია ყირიმი დიდ სამხედრო ბაზად გადააქციოს. კიევში გვპირდებიან გააკეთონ ყველაფერი ნახევარკუნძულის უკრაინის შემადგენლობაში დაბრუნებისათვის.

**ბარაკ ობამა — ჩვენ გავანადგურებთ „ისლამურ სახელმწიფოს" და ნებისმიერ ორგანიზაციას, რომელიც აშშ-სთვის ზიანის მოტანას შეეცდება**

CNN-ის ცნობით, საგანგებო მიმართვა ობამამ თეთრ სახლში გააკეთა. აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ პირობა დადო, რომ შეერთებული შტატები ტერორიზმს დაამარცხებს.

მისი თქმით, ტერორიზმი სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს, მაგრამ ის მაინც დამარცხდება. მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ ამერიკელი მუსლიმანებისადმი უარყოფითი წინასწარგანწყობა მხოლოდ ექსტრემისტებს აძლევს ხელს და შეერთებულმა შტატებმა არ უნდა ჩაატაროს რელიგიური ტესტირება ემიგრანტების მიღების დროს.

ბარაკ ობამამ ხაზი გაუსვა, რომ ტერორიზმთან ბრძოლა არ ნიშნავს, რომ აშშ ისლამს ებრძვის.

**ბერლინმა საუდის არაბეთს ბრალი დასდო ექსტრემისტების დაფინანსებაში**

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ვიცე-კანცლერმა გამოაცხადა რუსეთთან „ყინულის პერიოდის" დასასრულის და რუსეთის ფედერაციის „დიდ რვიანში" შესაძლო დაბრუნების შესახებ. რაც შეეხება სირიის კონფლიქტს, მისი სიტყვებით, მსოფლიო გაერთიანება ძალიან დიდხანს ხუჭავდა თვალს მომხდარში საუდის არაბეთის როლის შესახებ.

**რაკეტა ATLAS V-მ წარმატებით აიღო სტარტი კანავერალის კონცხზე საერთაშორისო კოსმოსური სადგურისკენ**

რაკეტა 4 დეკემბერს უნდა გაეშვათ, მაგრამ იგი სამჯერ გადაიდო არახელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამო. რაკეტა საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე მიიტანს 3 ტონაზე მეტ ტვირთს, პროდუქტებს, ტანსაცმელსა და ტექნიკას. როგორც ცნობილი გახდა, ტვირთმზიდი გამოეყო რაკეტმზიდს გაანგარიშებულ დროში. მისი შეერთება საერთაშორისო კოსმოსურ სადგურთან განზრახულია 9 დეკემბრისთვის.

**საფრანგეთის რეგიონულ არჩევნებში მარინ ლე პენის „ნაციონალური ფრონტი" ლიდერობს**

წინასწარი მონაცემებით, საფრანგეთის რეგიონულ არჩევნებში მარინ ლე პენის „ნაციონალური ფრონტი„ ლიდერობს. უცხოური მედიის ინფორმაციით, მარინ ლე პენის „ნაციონალური ფრონტი„ არჩევნებში 28%-ს აგროვებს, ხოლო მისმა კანდიდატებმა 13-დან მინიმუმ 6 რეგიონში პირველი ადგილი დაიკავეს.

არჩევნების წინასწარ შედეგებს საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო აქვეყნებს. „ნაციონალური ფრონტის" პარტიის ლიდერმა და მისმა დისშვილმა, 25 წლის მარიონ მარეშალ-ლე პენმა თავიანთ რაიონებში სიმბოლური 40%-იანი ბარიერი გადალახეს, რაც აღნიშნული პარტიისთვის რეკორდს წარმოადგენს. მმართველმა „სოციალისტურმა პარტიამ" წინასწარი ინფორმაციით, ხმების 23,5% დააგროვა. რეგიონული არჩევნების მეორე ტური საფრანგეთში 13 დეკემბერს გაიმართება.

**ოპოზიციამ ვენესუელაში არჩევნებზე გაიმარჯვა**

პარლამენტის ძველ შემადგენლობაში პრეზიდენტ ნიკოლას მადუროს სოციალისტებს ჰქონდათ 99 ხმა 167-დან. ახლა ოპოზიციას, როგორც მინიმუმი, ექნება 99 ხმა. სოციალისტებს — 46. ოპოზიციონერებმა გაიმარჯვეს პირველად 16 წლის განმავლობაში.



**ამერიკის შეერთებული შტატების ექს-პრეზიდენტმა 91 წლის ჯიმი კარტერმა დაძლია კიბო**

პოლიტიკოსის ავადმყოფობის შესახებ ცნობილი გახდა აგვისტოში. მას შემდეგ 91 წლის კარტერმა გადაიტანა სხივური თერაპიის კურსი, აგრეთვე ცოტა ხნის წინათ ღებულობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში დამტკიცებულ პრეპარატ „Keytruda"-ს. უკანასკნელმა სეანსმა აჩვენა, რომ კარტერის ტვინში უკვე აღარაა კიბოთი დაზიანებული ნაკვეთები, თუმცა ადრე მათი რიცხვი 4 იყო.




**ლატვიის მთავრობა გადადგა**

ლატვიის პრემიერ-მინისტრმა ლაიმდოტა სტრაუიუმამ ლატვიის მთავრობის გადადგომის შესახებ განაცხადა. როგორც „ბიბისი" წერს, ქვეყნის პრეზიდენტმა, რაიმონდ ვეიონისმა მთავრობის სრული შემადგენლობით გადადგომის შესახებ გადაწყვეტილება დააკმაყოფილა.

პრეზიდენტმა ლაიმდოტა სტრაუიუმას მადლობა გადაუხადა იმისთვის, რომ დათანხმდა ეხელმძღვანელა ქვეყნის მთავრობისთვის იმ პერიოდში, როდესაც ამის გაკეთება არავის სურდა.

რა გახდა სტრაუიუმას მთავრობის გადადგომის მიზეზი, ჯერჯერობით უცნობია.

**სომხეთში კენჭისმყრელთა 63 პროცენტზე მეტმა მხარი დაუჭირა ცვლილებებს კონსტიტუციაში**

„წინააღმდეგ ხმა მისცა 421 593 კაცმა (კენჭისყრის 32,35 პროცენტმა, ანდა საარჩენო სიაში შეტანილთა 16,42 პროცენტმა), ადრე ოპოზიციამ მოითხოვა, არ ჩათვლილიყო ქმედითად კენჭისყრის შედეგები ჯერ კიდევ მათ გამოცხადებამდე. ერევანში კი პოლიციამ გადაკეტა ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობისაკენ მიმავალი გზა.

კომპეტენტური აზრი



# პური ჩვენი ჯანმრთელობისა...

**საქართველოში ბოლო წლებში პურპროდუქტების სფეროში ტექნიკური და ტექნოლოგიური ცვლილებები განხორციელდა. ინერგება თანამედროვე ინტენსიური მეთოდები, რომლებსაც თან სდევს ისეთი პრობლემური საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ფერმენტებთან, დანამატების გამოყენებასთან, ფქვილის ვიტამინიზაციასთან, ფორტიფიკაციასთან, ტექნიკურ რეგლამენტთან.** ამავე დროს, სულ უფრო მეტი მიმდევარი გაუჩნდა ჯანსაღ საკვებს და ლოგიკურია, ადამიანებს აინტერესებდეთ, თუ რას მიირთმევენ, როგორ არის დამზადებული ესა თუ ის საკვები პროდუქტი, განსაკუთრებით პური.

ბაზარიც არ აყოვნებს, ფარმაცევტულ ფირმებსაც კი შეშურდებათ ისეთი ტემპი აიღო ხშირ შემთხვევაში, ფსევდო რეკლამებმა... თურმე პურით დიაბეტიც დაამარცხეს, რკინადეფიციტური ანემიაც, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებებიც, გული და სისხლძარღვებიც თურმე პურით იკურნება! სულ ბოლოს, პურის მეშვეობით, მასობრივად ფოლიუმის მჟავის დამატებას გვთავაზობენ, მაგრამ იმას არ ფიქრობენ, რა ქნას ჯანმრთელმა ადამიანმა, რომელსაც ეს დანამატი შეუძლია მიიღოს მწვანილეულის და მწვანე პროდუქტების სახით, რომელიც ჩვენში საკმარისზე მეტია, ან სულაც არ სჭირდება ფოლიუმის მჟავა? თუ სიმართლეს თვალს გავუსწორებთ ხმამაღალ რეკლამებს – **„ჩვენ არ ვღებავთ" „შაქარი – ნული", „საფუარის გარეშე"(!)** ეს ყველაფერი დიეტური და დიაბეტური სამედიცინო კვებისა და სამედიცინო დასკვნებისგან შორს არის და მხოლოდ მომხმარებლის მოზიდვას, თვითრეკლამას ემსახურება. კვლევას სჭირდება საკონტროლო ჯგუფების შექმნა. დიაბეტურმა პროდუქტმა ინსულინის გამოყოფას შეუწყო ხელი, თუ ნახშირწყლების შეწოვა შეამცირა? როგორია სისხლში გლუკოზის ცვლილება და ასე შემდეგ. ეს ძალიან საპასუხისმგებლო და მეტად მნიშვნელოვანია და ცოტა უნდა გვერიდებოდეს მაინც ასეთი ხმამაღალი განცხადებებისა!

პურში დანამატის ისტორია ასეთია: ჯერ კიდევ 1939 წელს საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ფქვილში შეეტანათ ვიტამინები B1, B2. B6. PP; ხოლო 1943 წელს ანალოგიური სქემა განხორციელდა შეერთებულ შტატებში (სენატის გადაწყვეტილებით). პირველი გამაუმჯობესებლები გამოიყენეს 60-იან წლებში, როდესაც კოსმოსური ეკიპაჟების საკვებში ფაქტობრივად დოპინგის სახით შეიტანეს. შემდგომში უნარჩენო წარმოების პროგრამაც განხორციელდა, სადაც ცხიმისა და შაქრის ნარჩენებით პურის ზოგიერთი ასორტიმენტის გამდიდრება მოხდა ნივთიერება „ლეციტინით". 1968 წლიდან თბილისის პურის საწარმოებში რძის შრატს ხმარობდნენ (რძის კომბინატის ნარჩენს)... 1974 წ. კანადაში, 1978 წ. ამერიკაში დაუშვეს ექვსი ვიტამინის B1, B2. B6. PP ფოლის მჟავითა და ვიტამინ A და ოთხი მარილით Ga, Mg, Fe. Zn, რათა ორი ნაჭერი პური ფარავდა 24 საათიანი ნორმის ნახევარს. ამ პერიოდში ამერიკაში რეკლამაც გაჩნდა, რომელიც მოუწოდებდა ამერიკელებს ერთის მაგივრად 2-3 ნაჭერი პური მიერთვათ, რითაც ვიტამინების საჭირო ნორმას მიიღებდნენ.

საინტერესოა, რომ ყოველივეს ახორციელებდნენ არა სახელმწიფო და სამედიცინო უწყებები, არამედ თვით პურისა და ფქვილის დამამზადებელი ფირმები, რომელთა კომერციული ინტერესი მეტი პროდუქტის რეალიზაცია და მომხმარებლის მოზიდვა იყო. ამის შემდგომ ეტაპზე პურის თეთრ ასორტიმენტში 15-20 პროცენტი ჭვავის ფქვილს ამატებდნენ, რაც მართლაც სასარგებლოა კვებითი ღირებულებით და ეკოლოგიურად მისაღებია. უნდა ითქვას, რომ საქართველოში ჭვავის ფქვილის მოხმარების ტრადიციები ერთობ მწირია.

70-80-იან წლებში დაასკვნეს, რომ პურის მოხმარებიდან გამომდინარე, ფქვილის ვიტამინიზაცია და დანამატების შეტანა ასეთი სახით ვერ იძლევა სასურველ შედეგს, რადგანაც ადამიანს ფაქტობრივად უნდა შეეჭამა 1 კილოგრამი ასეთი ფქვილისგან დამზადებული პური, ამიტომაც გადავიდნენ ვიტამინიზაციიდან ფქვილის გამდიდრებაზე (ფორტიფიკაციაზე) საჭიროებისდა მიხედვით და არა მასობრივად, როგორც ამას ხშირად სხვადასხვა პროგრამების აღმასრულებლები გვთავაზობენ, ამავე დროს გვებადება ლოგიკური კითხვა, როგორ შეიძლება ვიტამინისა და წამლის დოზირების გარეშე მიწოდება? პროფილაქტიკა საჭიროა, მაგრამ ტექნოლოგიური პარამეტრების ცოდნაც არ გვაწყენდა, რადგანაც პური მაღალ ტემპერატურაზე ცხვება.

დღეს მეცნიერული კვლევები ფქვილის გამდიდრებას, თუნდაც ფოლიუმის მჟავით, განვითარებად ქვეყნებს სთავაზობენ. თუ არ ვცდები, მას ბილ გეიტსის პროგრამა ერქვა, რომელიც განხორციელდა თურქმენეთსა და ტაჯიკეთში, აფრიკის რიგ ქვეყნებში, იქ, სადაც ამის აუცილებლობაა. ამის შემდგომ, 5 წლის წინათ, ჩვენში მოხდა ფქვილის რკინით გამდიდრება, თუმცა, ისევე როგორც იოდიზებული მარილით ვერ მოსპეს ჩიყვის პრობლემები, რომელიც ბოლო წლებში ასე მომრავლდა, ვერც რკინადეფიციტური ანემია შემცირდა და კვლავ გაისმის ახალი პროგრამების შემოღების აუცილებლობა. ასეთი პროგრამების ხელმძღვანელებს ვურჩევდი პეროლარული გზით წამლის მიღებას! დოზირების დროს მეცნიერები სიფრთხილეს ითხოვენ, ვიტამინების უპრაგონოდ გამოყენება დაუშვებელია. თუ ერთი ნივთიერება საჭიროა თუნდაც მოსახლეობის 20 პროცენტისთვის, რას ვერჩით 80 პროცენტს, რომელსაც სულაც არ სჭირდება ესა თუ ის ნივთიერება და შესაძლებელია უკუჩვენებების მთელი კასკადი გამოიწვიოს? „სიახლის" დამნერგავებს ვურჩევდი, პროფესორ რამაზ გახოკიძის 2014 წ. 11 ივნისის სტატიას გაცნობოდნენ გაზეთ „რეზონანსში", „ვიტამინები ავკარგი" ან ამავე გაზეთის 25 ივნისის წერილს „ვიტამინი – მკვლელები", სადაც ნათლად არის გადმოცემული „ჰიპერვიტამინების" მავნებლობის შესახებ. ამიტომ ფქვილისა და პურის წარმოებაში ჯანსაღი მეთოდები უნდა იქნას შენარჩუნებული, რაც შეიძლება ნაკლები დანამატებით. რა თქმა უნდა, არსებობს ფუნქციონალური ინგრედიენტები, მაგალითად, ჰოლანდიური DSM და Frietand Campina Domo, ბელგიური Beneo Draft, რომელთაც შეუძლიათ ნებისმიერი ინგრედიენტების მიწოდება ბავშვობიდან დაწყებული მოხუცებულობამდე, თუ ამის აუცილებელი საჭიროება არსებობს. კეთილი ინებონ ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიებმა და ასეთი ნივთიერებებით გამდიდრებული პური მაინც გამოაცხონ.

თუმცა, როგორც სპეციალისტი კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ 230 გრადუსზე გამომცხვარ პურში ეჭვი მეპარება ვინმემ მიიღოს სასურველი დოზირების შედეგი, რადგანაც როგორც ფოლიუმის მჟავა, ასევე იოდიზებული მარილი ადვილად აქროლებადი არიან.

გთავაზობთ ფირმებთან საკონტაქტო ტელეფონებს +375 222, 28 32 99 ფაქსი 23 60 29 Http:karavan-m.b.y და შეგიძლიათ საჭირო კონტაქტი დაამყაროთ, თუ ამის აუცილებლობა გაგაჩნიათ.

**მალხაზ დოლიძე,**
**ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი,**
**პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე,**
**ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი.**

ალიან-ჩალიანი

## ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ თვითმმართველობების როლი იზრდება

**ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში თვითმმართველობებიც ერთვებიან და პრევენციასთან ერთად, მათ ძალადობის მსხვერპლთა დაცვის, დახმარების თუ სხვა საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება ეკისრებათ.**

**ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ არსებულ კანონებში ცვლილებები „ძალადობისგან დაცვის ეროვნულმა ქსელმა" მოამზადა და პარლამენტმა ის პირველი მოსმენით უკვე მიიღო. ინიციატივის მიხედვით, ცვლილებები ეხება „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსსა" და საქართველოს კანონში – „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ".**

**აღნიშნულ თემაზე „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის" ორგანიზებით არასამთავრობო სექტორისა და ხელისუფლების წამომადგენელთა შეხვედრა გუშინ გაიმართა, სადაც ქსელის მიერ მომზადებული საკანონმდებლო ინიციატივა განიხილეს.**

**როგორც ქსელის ხელმძღვანელმა ნატო შავლაყაძემ აღნიშნა, საკანონმდებლო ცვლილებების მიზანია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის მექანიზმების გაძლიერება თვითმმართველი ორგანოების როლის გაზრდის გზით: „კანონპროექტების მიზანია ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ გასატარებელ ღონისძიებებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩართულობა და აღნიშნული საკითხის საკანონმდებლო მოწესრიგება. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს უფლებამოსილება ენიჭებათ, ჩაერთონ და მონაწილეობა მიიღონ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ გასატარებელ ისეთ ღონისძიებებში, როგორიცაა ოჯახში ძალადობის პრევენცია და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ასევე, უფლებამოსილება ენიჭებათ, ხელი შეუწყონ შესაბამისი თვითმმართველობის ტერიტორიაზე ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის/კრიზისული ცენტრის შექმნას.**

**კანონპროექტის განხილვა პოლონეთის სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ანჟეი ჩიეშკოვსკიმ გახსნა. ელჩმა ოჯაში ძალადობის თემაზე პოლონეთის გამოცდილებაზე ისაუბრა, სადაც არასამთავრობო სექტორი და ადგილობრივო თვითმმართველობები აქტიურად თანამშრომლობს და დასძინა, რომ პოლონეთი წარმოდგენილი ინიციატივის აქტიური მხარდამჭერია.**

**ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების განხილვას ადგილობრივი თვითმმართველობებისა და ქალთა რეგიონალური ორგანიზაციების წარმომადგენლებიც დაესწრნენ.**

## ლაშა მახარაძის მკვლელობის შემსწრე გამოჩნდა

**გუშინ თბილისის საქალაქო სასამართლოში ლაშა მახარაძის მკვლელობის საქმეზე ბრალდებულ გიორგი ოქროპირიძის პროცესი გაიმართა, რომელზეც ბრალდების მოწმედ ვლადიმერ ბერძენიშვილი წარსდგა.**

**გამოძიების ინფორმაციით, ეს უკანასკნელი მახარაძის მკვლელობის ადგილას ბრალდებულ ოქროპირიძესთან ერთად იმყოფებოდა.**

**ოქროპირიძემ ვლადიმერ ბერძენიშვილს სასამართლო დარბაზში შემოსვლისას „არაკაცი" უწოდა.**

**როგორც მოწმემ ჩვენების მიცემისას აღნიშნა, ბრალდებულს ის 2005 წლიდან იცნობს და ისინი წყალბურთში გუნდელები იყვნენ.**

**ვლადიმერ ბერძენიშვილმა დეტალურად გაიხსენა ლაშა მახარაძის მკვლელობის დღე – 2014 წლის 2 სექტემბერი.**

**მისი თქმით, ოქროპირიძემ ლაშა მახარაძეს ესროლა. როგორც მოწმემ აღნიშნა, მან სამი გასროლის ხმა გაიგო და მესამე გასროლის მომენტი თავად დაინახა.**

**მოწმის ჩვენების მიცემა მცირე ხმაურის ფონზე მიმდინარეობდა. მოსამართლე ეკა არეშიძემ ბრალდებულს რამდენჯერმე მისცა შენიშვნა.**

**კერძოდ, სიტუაცია მას შემდეგ დაიძაბა, რაც პროკურორმა მოწმეს ჰკითხა, იცნობდა თუ არა ლევან თალაკვაძეს, რომლის მკვლელობის საქმეშიც ოქროპირიძე გაასამართლეს.**

**ბერძენიშვილმა თქვა, რომ თალაკვაძეს წყალბურთიდან იცნობდა და ის ოქროპირიძის ბავშვობის მეგობარი იყო.**

**როგორც მოწმემ აღნიშნა, ოქროპირიძისგან იცოდა, რომ მას თალაკვაძესთან უთანხმოება ჰქონდა.**

**ამის შემდეგ ბრალდებულმა დარბაზში ტანზე გაიხადა და ნაფიც მსაჯულებს ჭრილობაზე მიუთითა და თქვა, რომ ძლივს გადარჩა თალაკვაძის მიერ მიყენებული ჭრილობის შემდეგ. მოსამართლემ მას გაფრთხილება მისცა და აღნიშნა, რომ თუკი ხელს შეუშლის პროცესის მიმდინარეობას, დარბაზს დაატოვებინებდა.**

## მიწისძვრა თიანეთში

**2.9 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა თიანეთში, სოფელ ბინდაურთან. სეისმური მონიტორინგის ცენტრის ინფორმაციით, მიწისქვეშა ბიძგები კვირას, 13:40 საათზე დაფიქსირდა. მიწისძვრას ნგრევა არ გამოუწვევია.**

ჯი-ეიჩ-ენი, მედიანიუსი

ძიუდო

# ძიგორო კანოს „ოქრო“ და „ბრინჯაო“



**საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების 11 წევრი მონაწილეობდა იაპონიაში გამართულ ძიგორო კანოს მემორიალში. ჩვენმა ფალავნებმა თითო ოქროს და ბრინჯაოს მედალი და გუნდური მეორე ადგილი მოიპოვეს იაპონელთა შემდეგ.**

81 კილოგრამ წონით კატეგორიაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა მსოფლიოს ჩემპიონი ავთანდილ ჭრიკიშვილი. ფინალის გზაზე მან ოთხ მეტოქეს სძლია: იაპონელ კეიტა ნაგაშიმას ვაზარით, ჰოლანდიელ ფრანკ დე ვიტსა და საბერძნეთის ნაკრების წევრ რომან მუსტოპულოსს – სუფთა გდებებით, ხოლო სამხრეთკორეელ კი-ჩუნ ვანგთან იუკოთი გამარჯვებას დასჯერდა. სპეციალისტთა ვარაუდით, გადამწყვეტ პაექრობაში ჩვენებური მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ მასპინძელს – ტაკენორი ნაგასეს უნდა შეხვედროდა, მაგრამ ეს უკანასკნელი ნახევარფინალში სამხრეთკორეელ სეუნგ-სუ ლისთან შეხვედრაში ფეხში შესვლის გამო მოხსნეს პაექრობიდან. ჭრიკიშვილმა საჩემპიონო ორთაბრძოლაში სწორედ ლის აჯობა ორი გაფრთხილებით და „ოქროსთან“ ერთად 500 სარეიტინგო ქულაც დაიმსახურა.

მეორე ნომრად განთესილმა ნუგზარ ტატალაშვილმა (73) ჯერ პორტუგალიელ ხორხე ფერნანდესს მოუგო, მერე მის გზას იაპონელი სოიჩი ჰაშიმოტო გაუყენა, ევროპის 2013 წლის ჩემპიონს – სლოვენიელ როკ დრაკშიჩს იპონით სძლია, ნახევარფინალი კი იაპონელ ჰიროუკი აკიმოტოსთან დამატებით დროში ერთი გაფრთხილებით დათმო. ბრინჯაოსთვის გადამწყვეტი პაექრობა მან თანამემამულე ოლიმპიურ ჩემპიონ ლაშა შავდათუაშვილს მოუგო და მესამე ადგილთან ერთად 200 სარეიტინგო ქულაც ერგო. შავდათუაშვილი მე-5 ადგილსა და 100 ქულას დასჯერდა.

**ლექსო ცინცაძე.**

**სურათზე: ჭიდაობს ავთანდილ ჭრიკიშვილი.**

ფიგურული ციგურაობა

# ახალგაზრდებმა ბუდაპეშტში იყოჩაღეს

**უნგრეთის დედაქალაქში დამთავრდა ახალგაზრდა ფიგურულად მოციგურავეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საქართველოს ახალგაზრდა სპორტსმენებმა სამი ოქროს და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. Basic Novices-ს გოგონათა მეორე ჯგუფში გამოდიოდა ანა დეა გულბიანი-შმიდტი. 40.40 ქულით მან პირველი ადგილი დაიკავა. გამარჯვებულს ქულით ჩამორჩა უკრაინელი მარინა ჟდანოვიჩი, ხოლო უნგრელი ზოე გალი 38.49 ქულით მესამე იყო.**





თანაგუნდელს მხარი აუბა ნიკა ეგაძემ – ვაჟებში (Basic Novices B) იგი 41.06 ქულით პირველი გახლდათ. მეორე-მესამე ადგილები, შესაბამისად, დიმორ სუხონინმა (ისრაელი, 29.40) და დანილო ლოვოჩკინმა (უკრაინა, 28.97) გაინაწილეს. 2006 წელს დაბადებულ გოგონათა შორის პირველობა ნატალია ლომინეიშვილს ხვდა, მესამე ადგილი კი ეკატერინე იაზადჟის ერგო.

**გივი გაგუა**

**სურათებზე: ანა დეა გულბიანი-შმიდტი.**

ფეხბურთი

# ტრიბუნაზე შფოთია...

**სუსხიან უქმეებზე საქართველოს დედაქალაქმა ეროვნული ჩემპიონატის XIV ტურის ორ შეხვედრას უმასპინძლა. მართალია, ფავორიტებმა დაგეგმილი გამარჯვებები მოიპოვეს, მაგრამ ამჯერად, თქვენის ნებართვით, ყურადღებას ვაკის მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის სათადარიგო მინდვრის ტრიბუნაზე განვითარებულ აღმაშფოთებელ მოვლენებზე შევაჩერებთ.**



**„ცხინვალი“ – „საპოვნელა“ 3:0 (2:0)**

**გოლები:** კაჭარავა (3).

ამ მატჩის პირველ ტაიმს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი დაესწრო. სწორედ მაშინ, 1:0-ზე სტუმრებმა საპასუხო გოლი გაიტანეს, როცა მეკარეს ბურთი ხელიდან გაუვარდა, მაგრამ მსაჯმა შოთა ქუხილავამ მიიჩნია, რომ აღნიშნულ ეპიზოდში თამაშის წესები დაირღვა და გოლი გააუქმა. მალე დევნილთა კლუბის საჯარიმოში ცქიფურიშვილი წაიქცა (თუ წააქციეს), მაგრამ ზუგდიდელმა „შაოსანმა“ არც ამჯერად გაიღო მოწყალება თერჯოლელთა სასარგებლოდ.

შესვენების შემდეგ, როცა სფფის თავკაცი ბრძოლის ველიდან უკვე წასული იყო, იმერლები კიდევ ერთხელ, ისევ უშედეგოდ ითხოვდნენ პენალტს საჯარიმოში ხელით თამაშის გამო და მონასტერიც საბოლოოდ აირია – სტუმართა მრავალრიცხოვანმა ქომაგებმა ჯერ ქართული ზეპირსიტყვიერების „მარგალიტების“ კორიანტელი დააყარეს მსაჯთა ბრიგადისა და, რატომღაც, დედაქალაქისა და თბილისელთა მისამართით, ხოლო გვირგვინად სკამები დალეწეს. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა – ამ დროს ტრიბუნაზე წესრიგის დამცველს წამლად ვერ ნახავდი, ე. წ. სტიუარდებს კი, აბა, როგორ მოვთხოვდით ვითარების განმუხტვას.

დაგვეთანხმებით, ასეთი ფაქტი კიდევ უფრო აუფასურებს ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის ისედაც შებღალულ ავტორიტეტს. ვიმედოვნებთ, ამჯერად მაინც, ყველას სათანადოდ მიეზღვება.

**დანარჩენი შედეგები:** „დინამო“ – „სიონი“ 5:2, „ბათუმი“ – „საბურთალო“ 2:1, „ჩიხურა“ – „შუქურა“ 1:0, „სამტრედია“ – „გურია“ 3:1, „ტორპედო“ – „ლოკომოტივი“ 2:0, „კოლხეთი“ – „ზუგდიდი“ 0:0, „დილა“ – „მერანი“ 2:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „დინამო“ – 37, „დილა“ – 34, „ცხინვალი“, „სიონი“ – 29-29 ქულა.

**გიორგი შოთაძე**

ლეგიონერი

# კალიფორნიული დერბის გმირი: სანაძემ „ტორეროსს“ ისტორიული გამარჯვება მოაპოვებინა

**„ბოლოს და ბოლოს, მოვახერხეთ „სან დიეგო სტეიტის“ დამარცხება. მადლობელი ვარ თანაგუნდელების, მწვრთნელების და ყველა იმ ადამიანის, რომელთან ერთადაც ეს გამარჯვება მოვიპოვეთ“ – განაცხადა მართლაც დიდი გამარჯვების შემდეგ „სან დიეგო ტორეროსის“ ქართველმა ლეგიონერმა დუდა სანაძემ, რომელმაც თავის გუნდს ამ ისტორიულ შეხვედრაში ულიდერა.**

ეს იყო განსაკუთრებული მატჩი – უფრო მეტად სანაძის გუნდისთვის, რადგან „ტორეროსს“ მორიგი შანსი ეძლეოდა, თანაქალაქელთა ბევრად ძლიერი რეიტინგის მქონე კლუბისთვის საკუთარი ძალა დაემტკიცებინა. ესაა ერთგვარი დერბი, რომელშიც 2 სანდიეგოური გუნდი ერთმანეთთან პაექრობს და ამ დაპირისპირებებში გამარჯვებული უმეტეს წილად „სან დიეგო სტეიტი“ გამოდის, რომელიც რეიტინგებში მუდამ ტრიალებს და სტუდენტური ლიგის ფინალურ ტურნირშიც (64 საუკეთესო გუნდის დაპირისპირებაში) სისტემატურად ასპარეზობს.

სანდიეგოურ დერბის განსაკუთრებულ ელფერს სარბიელიც სძენდა. მატჩი ღია ცის ქვეშ, ბეისბოლის სტადიონ „პეტკო პარკზე“ – სპეციალურად დაგებულ ფიცარნაგზე გაიმართა. ამ იშვიათი შოუს მთავარი მოქმედი პირი სანაძე გახდა, რომელმაც „ტორეროსს“ 15 ქულით ულიდერა და საბოლოო გამარჯვების მოპოვებაში დიდად დაეხმარა.

15 ქულა ზოგადად ბევრი არაა, მაგრამ ამ მატჩისთვის მართლაც გამორჩეული მონაგარია, რადგან დაცვით თამაშში საბოლოოდ ძალიან დაბალი ანგარიში დაფიქსირდა. „ტორეროსმა“ 53:48 გაიმარჯვა და თავისი ფანები ძალიან გაახარა, რადგან ბოლოს „სან დიეგო სტეიტის“ დამარცხება 10 წლის წინ შეძლო.

სანაძემ მეტოქეს თავს სამქულიანების სეტყვა დაატეხა. დუდამ 15 ქულა მხოლოდ შორეული სროლებით შეაგროვა. ქართველმა უკანახაზელმა 5 სამქულიანი ჩააგდო და მეტოქის ყველა მცდელობა, წინ გაჭრილ „ტორეროებს“ დასწეოდა, ჩააჩშო.

„ჩვენ დღეს ავმაღლდით – განაცხადა „სან დიეგო ტორეროსის“ ახალმა მწვრთნელმა ლემონ სმიტმა – ისეთ საკალათბურთო ორგანიზაციას რომ თამაშს მოუგებ, როგორიც „სან დიეგო სტეიტი“ და მისი მწვრთნელი სტივ ფიშერია, ეს ძალიან დიდი რამეა. ეს გამარჯვება ჩვენს გუნდს დიდ პოპულარობას მოუტანს სამხრეთ კალიფორნიაში. ვფიქრობ, შეხვედრას ძალიან ბევრმა ადამიანმა ადევნა თვალი“.

რაც შეეხება სმიტისგან ქებულ „სან დიეგო სტეიტის“ დამრიგებელ სტივ ფიშერს, წაგებული გუნდის მწვრთნელმა ფილოსოფიური კომენტარი გააკეთა: „მე საერთოდ მჯერა იმის, რომ ადამიანი რასაც იმსახურებს, იმას ღებულობს. როცა კალათბურთის მატჩისთვის განკუთვნილი დროის მხოლოდ 15 წუთს თამაშობ, წაგებას იმსახურებ. ჰოდა, მივიღეთ კიდეც“.

ქართველი უკანახაზელი მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა. სანაძემ 33 წუთი ითამაშა და 10-დან 5 სამქულიანი ჩააგდო, ხოლო 4 ორიანი და 2 საჯარიმო ააცილა. 15 ქულასთან ერთად დუდამ 6 მოხსნა, 5 (!) ჩაჭრა და 1 პასი მიითვალა, ბურთი კი 2-ჯერ დაკარგა. გამარჯვებულთაგან 12 ქულით ოლინ კარტერიც გამოირჩა, მარკუს ჰარისის ანგარიშზე კი 9 ქულა დაგროვდა.



სეზონის უხეიროდ დაწყების შემდეგ სანაძის გუნდისთვის ეს ზედიზედ მე-3 გამარჯვება იყო. მომდევნო მატჩს „სან დიეგო ტორეროსი“ 10 დეკემბერს შინ „დენვერ პიონერზთან“ გამართავს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

პრემიერლიგა

# კლოპისთვის ფერგიუსონი საუკეთესოა

**ინგლისური „ლივერპულის“ გერმანელი მთავარი მწვრთნელი იურგენ კლოპი მიიჩნევს, რომ ლეგენდარული შოტლანდიელი სერ ალექს ფერგიუსონი ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე დიდი მწვრთნელია.**

„ფერგიუსონმა „ლივერპულში“ დანიშვნა მომილოცა და ჩვენ სხვადასხვა საკითხებზე ვისაუბრეთ. ჩემთვის დიდი პატივია, რომ მას რამდენჯერმე შევხვედრივარ. რა თქმა უნდა, იგი სამაგალითოა ნებისმიერი მწვრთნელისთვის“, – აღნიშნა კლოპმა.



შეგახსენებთ, კლოპი „ლივერპულის“ მთავარ მწვრთნელად ორი თვის წინათ დაინიშნა, ხოლო ფერგიუსონმა სამწვრთნელო საქმიანობა 2013 წელს დაასრულა.

**კობა კობახიძე**

ირაკლი ოჩიაურის ხსოვნას

# დიდი ხელოვანი, სამაგალითო პიროვნება

გარდაიცვალა დიდი ხელოვანი, სამაგალითო პიროვნება, მოქანდაკე **ირაკლი ოჩიაური**, რომელმაც ჭეშმარიტად იღვაწა თავისი მრავალფეროვანი ხელოვნების შესაქმნელად. იგი სახელოვანი იყო არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც. უცხოეთში წარმატებით იხსნებოდა მისი გამოფენები და დიდ მოწონებას იმსახურებდა. ძალიან ბევრ ქვეყანაში ჰქონდა პერსონალური გამოფენა: ნორვეგიაში, ავსტრიაში, გერმანიაში, ბელგიაში, სირიაში, იაპონიაში... მონაწილეობდა მსოფლიო გამოფენებზე ამერიკის შეერთებულ შტატებში, ვენეციის ბიენალეზე, კანადაში მონრეალისა და იაპონიის ოსაკის მსოფლიო გამოფენებში. ეს ბატონი ირაკლის დიდ ნიჭიერებაზე, შრომისმოყვარეობასა და საკუთარი პროფესიის მიმართ უსაზღვრო სიყვარულზე მეტყველებს. თბილისში არ ყოფილა შემთხვევა, დიდ გამოფენებში მონაწილეობა რომ არ მიეღოს. მას შექმნილი აქვს მაღალმხატვრული პორტრეტები მარმარილოში, ბრინჯაოში, ვაჟა-ფშაველასა და ალექსანდრე ყაზბეგის მონუმენტური ძეგლები, მისეული გრაფიკა, ფერწერა და დიდებული ჭედური ხელოვნება. მას თავდადებულმა შრომამ ბევრი ჯილდო და პრიზი აალებინა; ის არის საქართველოს სახალხო მხატვარი, ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.



ყოველივეს, რასაც ქმნიდა, ყოველგვარი ხმაურის გარეშე აკეთებდა და ერთხელაც არ დასცდენია, რომ მან პირველმა აღადგინა მივიწყებული ძველი ბრწყინვალე ჭედური ხელოვნება, რომლის შემდეგაც დაიწყო ამ დარგის აღორძინება საქართველოში. წლების მანძილზე იგი ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში. ასწავლიდა ხატვას, ბევრს, ძალზე ბევრ ახალგაზრდას ახსოვს კეთილბუნებოვანი მასწავლებელი — პროფესორი, რომელიც გარდა ხატვისა და არქიტექტურისა, სიყვარულს, პატრიოტიზმს და რწმენას უნერგავდა. დასანანია ასეთი ადამიანის წასვლა ჩვენგან, იგი წავიდა ვალმოხდილი, თავისი კეთილშობილური საქმიანობა და ხელოვნება დაუტოვა საქართველოს, ასე ძალზე რომ უყვარდა თავად.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი სინანულით აღნიშნავს ბატონ ირაკლის გარდაცვალებას და უსამძიმრებს ოჯახს, მის ქალიშვილებს, ქალბატონებს — ლელას, ბუბას და ნათელას, მის ძმას — ბატონ გიორგი ოჩიაურს, ნათესავებსა და ახლობლებს.

**მერაბ ბერძენიშვილი**

# ირაკლი ოჩიაური



ქართველ მხატვართა საზოგადოებას გამოაკლდა ნიჭიერი შემოქმედი, საქართველოს სახალხო მხატვარი, რუსეთისა და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, უაღრესად კეთილშობილი და მოსიყვარულე ადამიანი **ირაკლი ოჩიაური**.

იგი დაიბადა 1924 წელს დუშეთის რ-ნის სოფ. შუაფხოში. 1953 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტი. ამავე წლიდან დღემდე ეწეოდა ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას. ბატონი ირაკლი ოჩიაური წარმატებით მუშაობდა ხელოვნების სხვადასხვა დარგში: ფერწერაში, გრაფიკაში, მონუმენტურ-დეკორატიულ ხელოვნებაში, ლითონ-მქანდაკებლობაში, ოქრომჭედლობაში. იგი სისტემატურად მონაწილეობდა რესპუბლიკურ და საზღვარგარეთ — მონრეალში, ოსაკაში, ვენეციაში მოწყობილ სამხატვრო გამოფენებში. ორგანიზებული იყო მხატვრის არაერთი პერსონალური გამოფენა, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ — ბერლინში, ავსტრიაში, ბელგიაში, ნორვეგიაში, სირიაში.

ბატონი ირაკლი ოჩიაურის მიერ შექმნილი ბიუსტები, ძეგლები და კომპოზიციები დადგმულია ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში: ალექსანდრე ყაზბეგის ძეგლი — ყაზბეგში, ვაჟა-ფშაველას ძეგლი — დუშეთში. ვაჟა-ფშაველას და ირინა ჯანდიერის სკულპტურული პორტრეტები ინახება საქართველოს ხელოვნების მუზეუმში. ბატონი ირაკლის მიერ სხვადასხვა თემაზე შესრულებული ჭედური ხელოვნების ნიმუშები ამშვენებენ არაერთი ადმინისტრაციული შენობის ინტერიერს.

ირაკლი ოჩიაურის ნამუშევრები დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში, ტრეტიაკოვის გალერეაში, სიეტლის ხელოვნების მუზეუმში, იაპონიისა და აშშ-ის მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში.

შემოქმედებით მუშაობასთან ერთად მხატვარი 1954 წლიდან ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. მის მიერაა აღზრდილი მხატვარ-არქიტექტორთა არაერთი თაობა.

ცნობილი მხატვრის ირაკლი ოჩიაურის სახელი დიდხანს დარჩება ოჯახის, ახლობლების, მეგობრების, კოლეგებისა და მისი შემოქმედების თაყვანისმცემლების ხსოვნაში.

**საქართველოს მხატვართა კავშირი**

ტანწერწეტობის კოდექსი

# მადის „მორჯულება“

**ბახლომა ძალიან ბევრს უნდა, მაგრამ ხელს უშლის... მადა. ამიტომაცაა, რომ დიეტოლოგებმა და ფსიქოლოგებმა რამდენიმე გონებამახვილური ხერხი შეიმუშავეს, რომლებიც მადის დაოკების, ანდა მის ერთგვარად „შეცდომაში შეყვანის“ შესაძლებლობას მაინც მოგცემთ.**

### ჭამამდე... კომპოტი მიირთვით

სტანდარტულ რეკომენდაციას — საკვების მიღებამდე ნახევარი საათით ადრე, მადის შესამცირებლად, წყალი დალიოთ, ყოველთვის სასურველი შედეგი არ მოყვება, რაც არც არის გასაკვირი, რადგან წყალი კალორიებს არ შეიცავს. ამიტომ, როცა ჭამამდე წყლის სმას შედეგი არ მოყვება, მაშინ **უმჯობესია სადილობა ბოსტნეულის (პამიდვრის, გოგრის, სტაფილოს) წვენით, საუზმე კი უშაქრო ჩირის კომპოტით დაიწყოთ (ხილს ნუ მიირთმევთ — სვით მარტო სითხე). საუზმემდე კი მართლაც წყლის დალევა სჯობს — ეს ორგანიზმს გაღვიძებაში დაეხმარება.**

შეგიძლიათ ასევე უშაქრო ყავის, მწვანე ან შავი ჩაის დალევა. სითხის დღიური მოცულობა 1,5-2,5 ლიტრია.

### დანაწევრებულად იკვებეთ!

თუკი დღეში 2-3-ჯერ ჭამთ, მადას ვერასოდეს „მოერევით“, ამიტომ კვების პროცესი უნდა დაანაწევროთ (საუზმე, სადილი, ვახშამი და შუალედებში მსუბუქი წახემსება), მაშინ არც მოგშივდებათ, თანაც შუალედებიც პატარ-პატარა იქნება. ასეთი კვება ააქტიურებს ნივთიერებათა ცვლას, მაგრამ ულუფები უნდა შეამციროთ — ერთ ჭამაზე საჭმელს 150-200 გრამზე მეტს ნუ მიიღებთ.

### ჭამეთ პატარა კოვზით

ჭამეთ პატარა თეფშიდან, რა დროსაც წმინდა წყლის ფსიქოლოგიური ხრიკი მოქმედებს: დიდ თეფშზე დადებული პატარა ნაჭერი ხორცი ციდა ჩანს (მას ბოსტნეულის სალათაც რომ მიუწყოთ, მაინც დარჩება სიცარიელე), მაგრამ, თუკი იმავე ოდენობის საჭმელს მცირე ზომის თეფშზე დააწყობთ, მაშინ დიდი ულუფის შეგრძნება დაგრჩებათ.

**საჭმელი პატარ-პატარა ლუკმებით მიირთვით, რითაც თავს ჭარბი საკვების მიღებისგან დაიცავთ.**

### ივახშმეთ ექვსი საათის შემდეგ

მედიკოსები გვირჩევენ: დაივიწყეთ, რომ საღამოს ექვსი საათის შემდეგ ჭამა არ შეიძლება! პირიქით: ამის გაკეთება შეიძლება და საჭიროცაა! ოღონდ უნდა მიირთვათ არა ფუნთუშები და ტკბილეული, არამედ ცილოვანი საკვები — კვერცხი, თევზი, ხორცი (არა შემწვარი, მოხარშული ან ორთქლზე დამზადებული). **ვახშმობისთვის იდეალური დროა დაძინებამდე 3-4 საათით ადრე.** უფრო ადრე ვახშმობის შემდეგ, შესაძლოა, კიდევ მოგშივდეთ და, გამორიცხული არ არის, რომ ჭამაზე სულმა წაგძლიოთ.

**საუზმისთვის კი სასურველია დილის 7-9 საათებს შორის შუალედი შეარჩიოთ, რა დროსაც კუჭის წვენი აქტიურად გამოიყოფა. გახსოვდეთ: თუ საუზმეს რეგულარულად არ მიირთმევთ, ან ფინჯანი ყავით კმაყოფილდებით, გასტრიტით დაავადებით საფრთხე გემუქრებათ.**

მადის შემცირებაში წერტილოვანი მასაჟიც დაგეხმარებათ. თუმცა მანამდე უმჯობესია თქვენი წონაში მომატების მიზეზის დადგენა — ესაა ჰორმონალური აშლილობა, ასაკი, სტრესი, უძილობა თუ სხვა რამ. სხვადასხვა შემთხვევაში ზემოქმედების ზომები განსხვავებულია.

მაგრამ არსებობს უნივერსალური წერტილი —



გუან-იუანი. იგი მუცლის შუა ხაზზეა განლაგებული, ჭიპზე სამი ცუნით დაბლა მდებარეობს (სამი ცუნი — ესაა შეერთებული საჩვენებელი, შუა, არათითისა და ნეკა თითების სიგანე). მასაჟი უმჯობესია დაწოლილმა გაიკეთოთ — სხვა პოზაში ამ წერტილს შეიძლება ვერ მიწვდეთ, მით უმეტეს, თუ მუცელზე ნაკეცები გაქვთ. წერტილს თითის წრიული მოძრაობით დააწექით ნახევარი საათის განმავლობაში. კურსის ხანგრძლივობაა 20 დღე.

**მოამზადა**
**ნინო ალექსანდრიამ**



**ძმა ვასილი, რძლები თამარა, ლილი, ლამარა, ლალი, ძმისწულები, დისწულები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ჭიჭიკო ნოეს ძე ადეიშვილი**

**პანაშვიდი 8, 9 XII, 17 სთ. გამოსვენება 10 XII, 14 სთ. მისამართი: მუხიანის IV ა მიკრორაიონი, მე-16 კორპუსი, I სადარბაზო.**

---

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის 1963 წ. კურსდამთავრებულები: დილავარდისა დავითულიანი, ლინა დათუნაიშვილი, კარლო კახაძე, ილია გვასალია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თანაჯგუფელი, უკეთილშობილესი ადამიანი, ყველას ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, ქვეყნის პატრიოტი, ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტი, ეკონომიკის აკადემიის დოქტორი, პროფესორი**

**ჭიჭიკო ნოეს ძე ადეიშვილი**

**და თანაგრძნობას უცხადებენ მის ნათესავებს და ახლობლებს.**

**პანაშვიდი 8, 9 XII, 16 სთ. გამოსვენება 10 XII, 14 სთ. მის. მუხიანის IVა მ/რ, მე-16 კ. I სად, ბ. 2.**

---

**შვილები ლევან, მანანა, მზია მებონიები, რძალი იზა მიქავა, სიძეები რევაზ ღვინჯილია, ტარიელ კვარაცხელია, შვილიშვილები ილია, დავით, მეგი მებონიები, თამარ, ნინო ღვინჯილიები, გიორგი, სოსო კვარაცხელიები იუწყებიან**

**ტატიანა დარსანია-მებონიას**

**გარდაცვალებას. დაკრძალვა 10 XII, 14 სთ. მისამართი: წალენჯიხა, სოსელიას ქ. №7.**

---

**შპს „ენგურჰესის“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ბატონ ლევან მებონიას საყვარელი დედის, ქალბატონ**

**ტატიანა დარსანია-მებონიას**

**გარდაცვალების გამო.**

### სათრევლა

## პრეზიდენტის ბრძანებულებით საააკაანთ ბიჭს საქართველოს მოქალაქეობა შეუწყდა



**აღარ არის მოქალაქე, მაგრამ დარჩა მოლაქლაქე უამრავი ლაქიებით, ბაცნებით და ბაჭიებით!**

**ალექსანდრე შენგელია**

### წერილი რედაქციას

# „თანადგომა“ 15 წლისაა

**15 წელი შესრულდა, რაც საზოგადოებამ მიიღო ზურაბ ანჯაფარიძის ფონდის ინიციატივით დაარსებული ძალზე საინტერესო და ორიგინალური საქველმოქმედო გაზეთ „თანადგომის“ პირველი ნომერი. ამ ხნის განმავლობაში გამოცემულია მე-100 პერსონალური ნომერი, რომელიც მიეძღვნა ერის ღირსეული შვილების გახსენებას.**

გაზეთ „თანადგომის“ პოპულარიზაციაში განსაკუთრებული წვლილი თქვენს გაზეთ მიუძღვის, რომელიც ხშირად აქვეყნებს გამოხმაურებებს ამ გაზეთის ამა თუ იმ ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით. გაზეთ „თანადგომის“ ავტორიტეტზე ისიც მეტყველებს, რომ ქართული ენციკლოპედიის III ტომში, რომელიც გასულ წელს გამოიცა, სათანადო ინფორმაციაა მოთავსებული ამ გაზეთის თაობაზე.



საქართველო
საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი
„მამული შვილთა გახსენება“

საპატიო სიგელი

ჯილდოვდება ანზორ ბაბუხადია

გაზეთ „თანადგომის“ რედაქტორ-გამომცემელი,
ერის ღირსეულ შვილთა სახელების
უკვდავყოფის მიზნით გაწეული საქმიანობისათვის.

პრეზიდენტი ბონდო კობაძე

დეკემბერი, 2015 წელი

აღნიშნულიდან გამომდინარე, საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა — „მამული შვილთა გახსენება“ — გაზეთ „თანადგომის“ რედაქტორ-გამომცემელი ბატონ ანზორ ბაბუხადია დააჯილდოვა საპატიო სიგელით.

**ვულოცავთ ბატონ ანზორს ამ საპატიო ჯილდოს. ვუსურვებთ შემდგომ შემოქმედებით წარმატებებს ქართველი ერისა და სამშობლოს კეთილდღეობისათვის.**

**ღრმა პატივისცემით**
**ბონდო კობაძე**

### ინფორმაცია

## მძღოლთა საყურადღებოდ!

**თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური დ.სარაჯიშვილის გამზირიდან დ.გურამიშვილის გამზირის მიმართულებით არსებულ ხიდზე (გზაგამტარი №1) იწყებს დაზიანებული სადეფორმაციო ნაკერების შეცვლას.**

**„სარეაბილიტაციო სამუშაოების სპეციფიკიდან გამომდინარე სამშაბათს, 8 დეკემბრიდან 25 დეკემბრის ჩათვლით აღნიშნულ მონაკვეთზე საავტომობილო მოძრაობა ნაწილობრივ შეიზღუდება“, — აღნიშნულია დედაქალაქის მერიის განცხადებაში.**

### პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13. ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

### ციფრებსა და ფაქტებში

# როგორ მივხედოთ ღვიძლს?

**ღვიძლი — ესაა ხერხემლიანი ცხოველების, მათ შორის ადამიანის შინაგანი სეკრეციის ჯირკვალი, რომელიც არის მუცლის არეში დიაფრაგმის ქვეშ.**

1,5 კილოგრამს იწონის საშუალოდ ჩვენი ღვიძლი. ეს არის ადამიანის მასის მიხედვით მეორე ორგანო კანის საფარის შემდეგ (11 კილოგრამი).

500-ზე მეტ ფუნქციას ასრულებს ღვიძლი: იგი თავის თავში ატარებს ყველაფერს, რაც ჩვენ ორგანიზმში ხვდება, ფილტრავს ამ ნივთიერებებს, ანეიტრალებს შხამებს, აგროვებს მარაგად მინერალებსა და ვიტამინებს, აფართოებს ჰორმონებს, მონაწილეობს ცილების ცვლაში, საკვების გადამუშავების პროცესში...

**ღვიძლი ერთადერთი ორგანოა, რომლის უჯრედებსაც აქვთ თვითაღდგენის უნარი.**

ცელსიუსის 40 გრადუსი — ასეთია ღვიძლის ტემპერატურა — ყველაზე მაღალი ორგანიზმში.

თითქმის ყოველ მე-2 ჩვენ თანამემამულეს აქვს ღვიძლის რაიმე დაავადება, ყოველ მე-4-ს აწუხებს ღვიძლის ცხიმოვანი დისტროფია.



**ღვიძლის ყველა დაავადების 25 პროცენტი გამოწვეულია ალკოჰოლის ბოროტად გამოყენებით.**

ღვიძლის ყველაზე გავრცელებულ დაავადებათა შორისაა — ჰეპატიტი, ტოქსიკური დისტროფია, სიმსივნეები, ციროზი.

2000 ლიტრზე მეტ სისხლს ფილტრავს ღვიძლი დღე-ღამეში.

**ღვიძლის 15 პროცენტზე მეტი უჯრედი საშუალებას აძლევს ორგანოს, შეასრულოს თავისი მოვალეობები.**

1963 წელს დალასში მოხდა, პირველად მსოფლიოში, ღვიძლის გადანერგვა — იგი განახორციელა ამერიკელმა ტრანსპლანტოლოგმა თომას სტარლზმა.

ღვიძლის 11 000-მდე გადანერგვა ხდება წელიწადში მსოფლიოში. ამერიკის შეერთებულ შტატებზე მოდის ათასზე მეტი ღვიძლის გადანერგვა, 4000-მდე — დასავლეთი ევროპის ქვეყნებზე.

**მხოლოდ 50 პროცენტით კმაყოფილდება საშუალოდ ყოველწლიური მოთხოვნა სიცოცხლისათვის ამ მეტად მნიშვნელოვანი ორგანოს ტრანსპლანტაციაზე.**

314600 ამერიკულ დოლარს შეადგენს დანახარჯები ავადმყოფის მომზადებაზე ღვიძლის გადანერგვის ოპერაციისათვის, სამედიცინო პერსონალის ანაზღაურებაზე, სადონორო ორგანოს ამოღებასა და გადატანაზე, ოპერაციის ჩატარებაზე და ოპერაციისშემდგომ პროცედურებზე პირველი წლის განმავლობაში და 21900 დოლარამდე წელიწადში — შემდგომ მეთვალყურეობასა და თერაპიაზე.

**კატეხინები, რომლებსაც მწვანე ჩაი შეიცავს, აუმჯობესებენ ღვიძლის მუშაობას.**

4-6 თვე სჭირდება ორგანოს სრული აღდგენისათვის დონორს, ღვიძლის რამდენიმე სეგმენტის ამოღების დროს ჯანმრთელი ადამიანიდან მისი ავადმყოფი ნათესავის სასარგებლოდ.

### 5 დეკემბერს გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები

1. ვალიადოლიდი. 2. ვერნი. 3. ლეოპარდი. 4. მაკე. 5. ლეი. 6. დეკური. 7. ანაპა. 8. არდენი. 9. ბარკი. 10. ხოსე. 11. შხერო. 12. იუკა. 13. ბარიბალი. 14. კრუ. 15. ლელუში. 16. როლი. 17. დრაცენა. 18. ნინევია. 19. დენი. 20. კობრინი. 21. ორნი. 22. ალუჩა. 23. უნჯი. 24. ნუში. 25. ანდრიჩი. 26. ნიკოპოლი. 27. ვარიეტე. 28. ილარიონი. 29. იტინომია. 30. დანია. 31. ჯილი. 32. ჯირკი. 33. უზანგი. 34. ლიბრეტო. 35. რიჩი. 36. უჭა. 37. იდიოტი. 38.დიამანტი. 39. პაროლი. 40. ინდონეზია. 41. რუკა. 42. კრიჟი. 43. მანტო. 44. ალიო. 45. ოსკოლი. 46. კეგლი. 47. იეტი. 48. ჟანა.

### კადრი




რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 293-37-87

### ცინცხალი ანეკდოტები

— **მიხო**, რას ნიშნავს ეს „საარსებო მინიმუმი?“

— რას და, იმას, რომ კაცი ჯერ კიდევ სუნთქავს და ხანდახან ჭამს კიდეც..

* * *

— **სახლში** იჯდები. შეგიძლია, საჭმელი ამზადო, სახლი დაალაგო, რეცხო, კერო, აუთოო, მაგრამ სანამ ცოცხალი ვარ, არ დავუშვებ, რომ ჩემმა ცოლმა იმუშაოს.

* * *



**ტროპიკები.**

— რა კარგი პლაჟია. აქ ბანაობა შეიძლება?

— რა თქმა უნდა, შეიძლება.

— ამ პლაჟზე მაშველები არიან?

— არა. მათ ზვიგენების ეშინიათ.

* * *

**მივიდა** ბიჭი მარჩიელთან. იგი ყურადღებით ათვალიერებს ბიჭის მარჯვენა ხელს და ამბობს:

— თუ თქვენი ხელისგულით ვიმსჯელებთ, სექსუალურად ძალიან აქტიური ადამიანი ბრძანდებით!

— რატომ გგონიათ, რომ ამას გარჯვენა ხელით ვაკეთებ?

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე